# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 14 იანვარი 2005 №5 (2328) ფასი 50 თეთრი


## თბილისის დინამოელმა ლევან სილაგაძემ შეიძლება... რუსთავი ჩაიბაროს



დღეს ჩვენთან ძველით ახალი წელია, ევროპაში კი სამუშაო კვირა მთავრდება და უქმეები იწყება — ხვალ ლევან კობიაშვილის „შალკე" შინ თურქულ „გალათასარაის" შეერკინება და საამმატჩო ინტერესი იმდენად დიდია, რომ „აუფშალკეზე" 30 000 ბილეთი უკვე გაიყიდა.

გერმანიაზე უფრო შორს, შოტლანდიაში კი ახალი ისაა, რომ შოთა არველაძე შესაძლოა კონტრაქტის დამთავრებამდე ანუ სეზონის ბოლომდე დაემშვიდობოს „რეინჯერსს". როგორც თავად შოთამ გვითხრა, არაა გამორიცხული, რომ თებერვლიდან უკვე სხვა გუნდში ითამაშოს.

## ჩვენ წასვლას, თქვენ დარჩენას და ჩვენ იქ დარჩენას გაუმარჯოს?



რაც შეეხება ახლო საზღვარგარეთს, დღეს დილით მოსკოვში გაფრინდა „თბილისი", რომელიც ხვალიდან თანამეგობრობის თასზე დაიცავს საქართველოს ღირსებას. თუმც მოსკოვში მხოლოდ „თბილისის" შედეგი როდი იქნება საინტერესო — თბილისელთა რამდენიმე ჯეელს რამდენიმე ფულიანი პოსტსაბჭოთა კლუბი დაპყურებს და ტურნირზე სატრანსფერო რია-რიაც წამოენთება.

Euroleague

## ოლიმპია 86 ჟალგირისი 73 ბოისას 22 ქულით



## მარკუს მერკმა კოლინა გააპარსა



კოლორიტული იტალიელი პიერლუიჯი კოლინა ზედიზედ ექვსჯერ იყო მსოფლიოს საუკეთესო მსაჯი, 2004 წლის საუკეთესოდ კი გერმანელი მარკუს მერკი მიიჩნიეს. ამჯერად კოლინა მეორეობას დასჯერდა. შვედი ანდერს ფრისკი გამოკითხვაში მესამე იყო

## დაკარი-რალის სპონსორი მიქელ გაბრიელია?



ტრანსაფრიკული რალი უხიფათო არასდროს ყოფილა, მაგრამ წლეულს საჰარაში მიქელ გაბრიელი ნამეტანი გამეტებით იქნევს ცელს. დაკარის რალის ტიტულისთვის რბოლამ ამ ოთხ დღეში უკვე ოთხი ადამიანი შეიწირა — ორშაბათს დაიღუპა ესპანელი მოტომრბოლი ხოსე მანუელ პერესი, სამშაბათს კიდევ ერთი მოტომრბოლი, იტალიელი ფაბრიციო მეონი, გუშინ კი მკვლელმა დიუნებმა ორი ბელგიელი ტექნიკოსი იმსხვერპლა — ისინი თვისტომ რენე დილიაბის მიჰყვებოდნენ და როგორლაც სატვირთო მანქანამ გაიტანა. დაკარის წლევანდელი მარშრუტი უსაშველოდ გართულებულიაო, ამას რომ ჩიოდნენ მრბოლები, ორგანიზატორები ყურსაც არ იბერტყავდნენ. ახლა კი დატუქსავენ მათ, მაგრამ დაღუპულთა ოჯახებს ეს ცრემლს ვერ შეუშრობს.

# სილაგაძე რუსთავს უმიზნებს

## კილასონია უკვე იქ არის




ახალი ამბები რუსთავიდან: როგორც ჩანს, ქალაქის ხელმძღვანელობამ გუნდისკენაც გაიხედა და ფაქტობრივად დაშლილი „რუსთავის“ თავიდან აწყობა ჩაიფიქრა.

პირველი ნაბიჯი რუსთავის მერმა უკვე გადადგა და გუნდი ვარლამ კილასონიას ჩააბარა, რომელიც მეოთხე დღეა, „რუსთავს“ ავარჯიშებს. მისი შეგირდები მეტწილად ახალბედები არიან, შედარებით გამოცდილთაგან კი მწვრთნელს ლაშა სილაგაძე და ზურაბ ლაბაძე შერჩნენ. თავად კილასონიას თქმით, ის ქალაქის მერს მერაბ ტყეშელაშვილს უკვე რამდენჯერმე შეხვდა, მისგან „რუსთავის“ დახმარების ყველანაირი პირობა მიიღო და... მოკლედ და კონკრეტულად ითქვა, გუნდი პირველი ლიგიდან არ უნდა გავარდეს. არადა, „რუსთავი“ ახლა 10 ქულით სწორედ გასავარდნთა ზონაშია და დაქვეითების რეალური საფრთხის წინაშეა.

ახლა მთავარი: ვარლამ კილასონიას „რუსთავის“ მწვრთნელად დანიშვნის ამბავი მოსალოდნელი თუ იყო, ნუ გაიკვირვებთ და, საფეხბურთო კლუბი „რუსთავი“ შესაძლოა თბილისის „დინამოს“ მცველმა ლევან სილაგაძემ ჩაიბაროს. კლუბში მისი სტატუსი ჯერ გაურკვეველია, თუმც ფაქტია, რომ სილაგაძეს რუსთავის მერთან ამ საკითხზე ლამის ყოველდღიური მოლაპარაკება აქვს და გუნდთან ერთადაც სულ უფრო და უფრო ხშირად ჩანს. სილაგაძის „რუსთავში“ მისვლა რა ფორმით მოხდება, ამ კითხვაზე კონკრეტულ პასუხს კლუბში ჯერ ვერ იძლევიან, თუმც ლევანის „რუსთავთან“ საქმიანობის სურვილს ბევრი ადასტურებს.

გავიგეთ ისიც, რომ სილაგაძე მაისიდან უფრო აქტიურად ჩაერთვება საკლუბო საქმეებში და მისი სტატუსიც მაშინ გამოიკვეთება. ახლა კი, როგორც ვთქვით, „რუსთავს“ ერთი ადარდებს, ადგილი პირველ ლიგაში.

**კობა ინასარიძე**

# დინამოსთან ერთად ჯამარაულიც კვიპროსზე მიდის...

გოჩა ჯამარაული თბილისის „დინამოს“ კვიპროსულ შეკრებაზე გაჰყვება და გუნდთან ერთად მოემზადება. ეს გუშინ შევიტყვეთ, თუმც „დინამოში“ ამ ამბავს ჯერ არ ადასტურებენ, მხოლოდ იმას ამბობენ, რომ „დინამოსა“ და ჯამარაულს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

გოჩა ჯამარაულმა, მოგეხსენებათ, დონეცკის „მეტალურგთან“ კონტრაქტი ორი თვის წინ გაწყვიტა და მას შემდეგ თბილისშია, უგუნდოდ. გუშინწინ კი ის დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გამოჩნდა და „დინამოსთან“ ერთად ივარჯიშა. ამ ფაქტს კლუბში ასეთი კომენტარი გაუკეთეს:

„ჯამარაულმა ჩვენს გუნდთან ერთად ივარჯიშა, მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს გოჩა უკვე „დინამოს“ ფეხბურთელი იყოს. ის უგუნდოდაა და „დინამომ“ მხოლოდ ვარჯიშის საშუალება მისცა. ჯერჯერობით ჯამარაულის ტრანსფერთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიმდინარეობს“.



აი, ასეთია „დინამოს“ ოფიციალური განცხადება ჯამარაულის თაობაზე, თუმც არაოფიციალურად ის გავიგეთ, რაც უკვე ვთქვით.

და თუ ჯამარაული „დინამოს“ კვიპროსზე მართლაც გაჰყვა, უნდა ჩავთვალოთ, რომ ის „დინამოში“ დაბრუნდა.

**კობა ინასარიძე**

## იტალია

**თასის 1/8 ფინალი**

**საპასუხო მატჩები**

ლაციო 3:2დ.დ.(2:1) *კალიარი* (1:2)

*უდინეზე* 3:4 ლეჩე (5:4)

სიენა 1:5 *რომა* (2:1)

იუვენტუსი 3:3 *ატალანტა* (0:2)

## ესპანეთი

**თასის 1/8 ფინალი. I მატჩი**

ვალიადოლიდი 0:0 რეალი

# მოსკოვში თბილისის წარმოსაჩენად მივდივართ

## ლუის ცაკარიასი ტრანსფერებს თურქეთში აპირებს



*დღეს „თბილისი“ მოსკოვს მიემგზავრება თანამეგობრობის თასზე სათამაშოდ. ტურნირი შარშან თბილისის „დინამომ“ მოიგო და იქნებ ესენგეს თასისთვის კვლავ გაიბრძოლოს ქართულმა გუნდმა*

პირველი ეტაპის შემდეგ „თბილისი“ მხოლოდ ერთმა ფეხბურთელმა დატოვა — თორნიკე აფციაური მოლდოვურ „შერიფში“ ეშურება გადასვლას. მოკლედ, „თბილისმა“, აფციაურის გარდა, წამყვანი მოთამაშეები შეინარჩუნა, „ბათუმში“ განათხოვრებული გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე დაიმატა — სხვა სატრანსფერო ცვლილება გუნდში არ მომხდარა.

და რა შეუძლია ასეთ „თბილისს“ მოსკოვში? თბილისელებს ნაირგვარი მოთამაშეები ჰყავთ — მებრძოლნიც და ტექნიკურებიც, მიწაზეც და ჰაერშიც ბურთის კარგად მომთვინიერებლები, გამოცდილებიც და ახალგაზრდებიც. და საერთოდ, „თბილისში“ ახლა ყველაზე მეტად საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელები არიან თავმოყრილი საქართველოს მასშტაბით. ერთი სიტყვით, „თბილისისგან“ მოსკოვში ფურორს თუ არა, შთამბეჭდავ გამოსვლას მაინც ველით.

გუშინ, გამგზავრების წინა დღეს „თბილისმა“ ტესტ-მატჩი ითამაშა თანაქალაქელ „ლოკომოტივთან“ „ოლიმპის“ აკადემიის ხელოვნურსაფარიან მოედანზე. გუნდებმა სამი ნახევარსაათიანი ტაიმი ითამაშეს და შეხვედრა „თბილისის“ გამარჯვებით დასრულდა — ერთადერთი გოლი პირველ წუთებზე დავით ოდიკაძემ გაიტანა სანდრო იაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით. ბარემ იმასაც მოგახსენებთ, რომ 11-მეტრიანი „თბილისის“ ადმინისტრატორმა გია ლაბაურმა დანიშნა, ვინც არბიტრად გახლდათ გამწესებული.

მატჩი დიდად საინტერესო არ გამოდგა, ახლა მოსამზადებელი პერიოდია და ფეხბურთელებსაც დიდი დატვირთვების ფონზე მოუხდათ თამაში.

თანაბარი ბრძოლა იყო, თუმც „ლოკომოტივს“ მკვეთრად ეტყობოდა ალეკო გოგობერიშვილის და ლადო ბურდულის არყოფნა ნახევარდაცვაში. გუშინ არ უთამაშია ლოკომოტიველთა მთავარმეგოლე მიხეილ ბობოხიძეს — მას მცირე ტრავმა აწუხებს და ხელოვნურსაფარიან მოედანზე თამაშს მოერიდა — ბობოხიძე ჯერჯერობით ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

პირველი ნახევარი საათი მეტოქეებმა ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშეს და „ლოკომოტივს“ აშკარა საგოლე შანსი არ ჰქონია.

***თბილისი:*** *დევაძე, ქემოკლიძე, ოდიკაძე, ელიავა, გოგუა, კვარაცხელია, ხოჯავა, ორბელაძე, გეწაძე, გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე, იაშვილი*

***ლოკომოტივი:*** *გვარამაძე, ლაცაბიძე, ბაქრაძე, ქაძაძე, ფოფხაძე, სიჭინავა, სანიკიძე, ჩხაიძე (ი. ელენტი), რ. ონიანი, შენგელია, ნ. კაშაკიძე*

მეორე ტაიმში „ლოკომოტივმა“ ბევრი ახალწვეული გაიყვანა მოედანზე, „თბილისმა“ კი თერთმეტივე ფეხბურთელი შეცვალა, თუმც მათგან შოთა ჭელიძის გარდა ეროვნული ჩემპიონატი ყველას დაჭაშნიკებული აქვს. თბილისელთა სამეორეტაიმო თერთმეტეული ასეთი გახლდათ: შეყრილაძე, მიქიაშვილი, ზვ. ლაბაძე, კალაძე, ლოლაძე, მესხი, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, შ. ჭელიძე, ჯიქია, მიქაძე, ფიფია. ამ თერთმეტ კაცში რამდენიმე ისეთიცაა, პირველი გუნდისთვის საკვანძო ფეხბურთელი რომაა.

რაც შეეხება მესამე ტაიმს, „თბილისმა“, ფაქტობრივად, რეზერვისტები გაიყვანა სათამაშოდ, თუმც ანგარიში არ შეცვლილა — ლოკომოტიველებს ხან მიზანი ღალატობდათ, ხან კი თბილისელთა მეკარე ბექა შეყრილაძე თამაშობდა ჩინებულად.

სამტაიმიანი მატჩის შემდეგ „თბილისის“ მთავარ მწვრთნელ ლუის ცაკარიასს ვესაუბრეთ...

**— ამ საკონტროლო მატჩით რამდენად კმაყოფილი დარჩით?**

— დღეს ის ტაქტიკური მონახაზი ერთხელაც მოვსინჯეთ, რითაც მოსკოვში ვაპირებთ თამაშს. ამ მატჩს კიდევ ის დატვირთვა ჰქონდა, რამდენიმე ფეხბურთელი გამოგვეცადა — მათ კიდევ მიეცემათ თავის გამოჩენის შანსი.

**— თანამეგობრობის თასზე „თბილისის“ მიზანი რა იქნება? ტურნირი შარშან თბილისის „დინამომ“ მოიგო...**

— ჩვენი მიზანი ისაა, რაც შეიძლება კარგად წარმოვაჩინოთ თავი.

**— გასაგებია, მაგრამ დადებით შედეგად თასის აღებას, ნახევარფინალში გასვლას თუ რას ჩათვლით?**

— ტურნირის მონაწილე გუნდებს არ ვიცნობ და ამ შეკითხვაზე კონკრეტულად ვერაფერს გიპასუხებთ.

**— „თბილისს“ ტრანსფერები არ განუხორციელებია, „დინამომ“ კი ხუთი ახალი ფეხბურთელი დაიმატა, ძლიერდებიან სხვა გუნდებიც — როგორ ფიქრობთ, საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის მოწინავე გუნდების ძალთა თანაფარდობა იგივე დარჩება?**

— „დინამო“ ისეთი გუნდია, ყოველთვის ფავორიტი იქნება, თუმც მე იმითაც მოხარული ვარ, რომ „თბილისის“ ფეხბურთელთა ბირთვი ფაქტობრივად უცვლელი დარჩა. ამ კონტინგენტით „თბილისმა“ უკვე დაამტკიცა, რომ საქართველოში ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეუძლია. მოსკოვის შემდეგ ანთალიაში მივდივართ შეკრებაზე და შესაძლოა, ერთი-ორი უცხოელი ფეხბურთელი იქ დავიმატოთ, თუ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებზე აშკარად უკეთესებს აღმოვაჩენთ.

„თბილისს“ მოსკოვში ვერ გაჰყვებიან მეკარე სოსო გრიშიკაშვილი, შემტევი კოკა მიკუჩაძე და მცველი გიორგი ლოლაძე — გრიშიკაშვილმა ტრავმა ახლახან მოირჩინა, ლოლაძე მოსამზადებელ პერიოდში მოგვიანებით შეუერთდა გუნდს და სათანადოდ მზად არ არის, ხოლო მიკუჩაძე ტრავმირებულია. „თბილისი“ თანამეგობრობის თასზე 19 ფეხბურთელით მიდის:

***მეკარეები:*** *აკაკი დევაძე, ბექა შეყრილაძე;*

***მცველები:*** *სერგო ორბელაძე, დავით ოდიკაძე, რევაზ ქემოკლიძე, ზაალ ელიავა, ბესიკ მიქიაშვილი;*

***ნახევარმცველები:*** *ანზორ კალაძე, გოგიტა გოგუა, რევაზ გეწაძე, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, გოჩა ხოჯავა, შოთა ჯიქია, მიხეილ მესხი, გივი კვარაცხელია;*

***თავდამსხმელები:*** *გიორგი მიქაძე, გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე, გოგი ფიფია, სანდრო იაშვილი*

**დავით თავართქილაძე**



*„ვიტ ჯორჯიას“ რომ უკვე მესამედ დაედგა იტალიური თავი, ეს დეკემბერშივე გაცხადდა, მერაბ კოჭლაშვილის გათავისუფლებული ადგილი ჯანი კარნევალიმ ჩაიბარა და „მოქმედება მესამე“ გუშინ დაიწყო. სინიორ ჯანი საქართველოში ჩამოვიდა და თავის ძველ-ახალ „ვიტ ჯორჯიას“ პირველი ვარჯიში ჩაუტარა. ძნელ დროს კი მოვიდა იტალიელი — ვიტელებს საქართველოს ჩემპიონატში მეოთხე საფეხური უკავიათ და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნაახალწლევს გუნდი დატოვეს ლაშა ნოზაძემ, გიორგი ადამიამ, ალექსანდრე ინწკირველმა და მირზა მერლანმა, ჩემპიონობის შენარჩუნებაზე ალბათ არც კი უნდა იფიქრონ*



# ჟანი კარნევალი: ფეხბურთი კარნავალი უნდა იყოს

კარნევალის ბოლო ვიტჯორჯიული მატჩი შარშანწინ იყო ავსტრიულ „პაშინგთან“ ინტერტოტოს თასზე, მერე კი მწვრთნელი იტალიაში წავიდა, თუმცა ვიტელებთან კავშირი არ გაუწყვეტია — გუნდის მენეჯერი იყო. სინიორ ჯანი კმაყოფილი და, როგორც თავად ამბობს, გამობრძმედილი ჩამოვიდა. აქაც ჩვეული მხიარული განწყობით დამხვდნენ, „ვიტ ჯორჯია“ ხომ ჩემი გუნდიაო, ამბობს.

— დღეს პირველი ვარჯიში ჩავატარე. „ვიტ ჯორჯიაში“ ბევრი ახალი ფეხბურთელია, რომლებთანაც აქამდე არ მიმუშავია, თუმცა ეს პრობლემა არ იქნება. ოთხი წლის წინ პირველად რომ მოვედი „ვიტ ჯორჯიაში“, მაშინაც 18-19 წლის ბიჭები დამხვდნენ გუნდში, მაგრამ ისინი სწრაფად გაიზარდნენ. დღეს იმედაშვილი, მარცვალაძე თუ დილმელაშვილი უკვე გამოცდილი მოთამაშეები არიან. ერთი სიტყვით, ახალი გუნდი მომეწონა. ახალგაზრდობის გაწვრთნას მიჩვეული ვარ.

**— იტალიაში „ვიტ ჯორჯიას“ მენეჯერად მუშაობდით. იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ იქაურ საქმიანობაზე.**

— უმეტესად „ვერონაში“ ვიყავი. კლუბის პრეზიდენტი პასტორელო გახლავთ, მისი შვილი კი გენერალური მენეჯერია, მეც უმცროს პასტორელოსთან უფრო ხშირად მიწევდა მუშაობა და სელექციით ვიყავი დაკავებული. ამასთან „რომას“, „ფიორენტინას“, „ლაციოსა“ და სხვა გუნდების ვარჯიშებს ვესწრებოდი, საიდანაც დიდი ცოდნის მიღება შეიძლება. თითოეულ ვარჯიშზე ამოიკითხავ რაღაც ისეთს, აქამდე რომ არ გინახავს. მოკლედ, ფეხბურთიდან გამოთიშული არ ვყოფილვარ.

**— რომელიმე ვიტჯორჯიელი ფეხბურთელისთვის „ვერონასთან“ რეკომენდაცია ხომ არ გაგიწევიათ?**

— რა თქმა უნდა. ინტერესი მათაც გამოიჩინეს და მეტიც, დიდი შანსია, თებერვალში უცროსი პასტორელო საქართველოში ჩამოვიდეს. სხვათა შორის, იგი რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელის, მათ შორის ლაციოელი ოდოს, ვალენსიელების — ფიორესა და კორადის აგენტია.

**— კონკრეტულად რომელ ფეხბურთელებზე მიაწოდეთ ინფორმაცია?**

— მაგას ჯერ ვერ გეტყვით. თანაც ჯერ სერიოზულად არ დაძრულა საქმე და გვარების დასახელებას რა აზრი აქვს. დაახლოებით მაისისთვის 99 პროცენტით მეცოდინება, რომელ ვიტჯორჯიელ ფეხბურთელზე გააკეთებენ აქცენტს...

**— შესადარებლად უხერხულია, მაგრამ იტალიური და ქართული კლუბების მწვრთნელთა საქმისადმი მიდგომას როგორ შეაფასებდით?**

— აბა, დაფიქრდით, საქართველოში მწვრთნელს რა აქვს? არაფერი. მთავარი განსხვავება პირობებშია. შესაძლოა, როდესლაც რომელიმე ქართველი მწვრთნელი ჩავიდეს, მაგალითად, „იუვენტუსში“ და სუპერსპეციალისტად იქცეს. რატომ? იქ მწვრთნელს მხოლოდ ტაქტიკაზე, შემადგენლობის არჩევაზე და შეცვლებზე უხდება ფიქრი. მარტო სამი-ოთხი კაცი ფიზიკურ მომზადებაზე მუშაობს და პლუს კომპიუტერი გიჩვენებს, რომელ ფეხბურთელს რა დატვირთვები უნდა მისცე. საქართველოში კი მსგავსი ინფრასტრუქტურა არ არის და მთავარ მწვრთნელს უამრავი საფიქრალი აქვს. ახლა იტალიიდან ჩამოვიტანე მასალები, სადაც დეტალურად, ციფრებითაა განხილული თითოეული მოთამაშის ყოველდღიური მონაცემები და მწვრთნელთა ფუნქციების განაწილება.

**— კი მაგრამ, მწვრთნელის დონესაც ხომ გააჩნია...**

— რა თქმა უნდა. დონეს და გაქანებას რომ თავი დავანებოთ, იღბალიც საჭიროა. მაგალითად, ჯიჯი სიმონი უდიდეს სპეციალისტად ითვლება. უძლიერეს „ნაპოლის“ და „ინტერს“ წვრთნიდა, ტიტულებიც ბლომად აქვს, მაგრამ რამდენიმე დღის წინ იგი საშუალო კლასის „სიენადან“ გაუშვეს. უბრალოდ, სიმონის არ გაუმართლა. და მაინც, ფეხბურთში პირველ პლანზე მოთამაშეა, მერე კი მწვრთნელი. პროცენტებით რომ ვთქვათ, მწვრთნელი გუნდის მაქსიმუმ 40 პროცენტია.

**— დავუბრუნდეთ „ვიტ ჯორჯიას“. თქვენ ადრეც ხშირად გითქვამთ, ლამაზი, სანახაობრივი ფეხბურთის მიმდევარი ვარო...**

— მე კვლავაც სანახაობრივი ფეხბურთი მიყვარს.

**— ყოფილა შემთხვევა, ორი მცველით გითამაშიათ. ასეთ რისკზე კიდევ წახვალთ?**

— ეგ პრობლემა არ არის. როგორც თამაშის სცენარი მოითხოვს, ისე უნდა მოიქცე. მგონი, რისკი ხშირად ამართლებს...

**— „ვიტ ჯორჯიამ“ თანამეგობრობის თასზე თამაში იუარა. თქვენი აზრით, ხომ არ სჯობდა, მოსკოვში გეთამაშათ?**

— არა, მოსამზადებელი ეტაპისას ხელოვნურ საფარზე თამაში არასწორად მიმაჩნია.

**— „ვიტ ჯორჯიას“ დღევანდელი შემადგენლობა მომწონსო, თქვით. ჩემპიონატში რა მიზანს ისახავთ?**

— ვნახოთ. მე სერიოზულად ვიმუშავებ და რა გამოვა, ჯერ ვერ გეტყვით. წინ კიდევ 18 ტური და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ისევ „ვერონას“ მოვიყვანთ მაგალითად — სერია B-ს პირველ 5 ტურში გუნდს არც ერთი ქულა არ ჰქონდა, დღეს კი მეოთხე ადგილზეა და სერია A-ს უმიზნებს...

„ვიტ ჯორჯია“ 27 იანვარს ანთალიაში მიემგზავრება შეკრებაზე, სადაც 10 თებერვლამდე დაჰყოფს. მანამდე კი საქართველოს ჩემპიონები ეროვნულ სტადიონზე ვარჯიშობენ და 21-23 იანვარს ორ ტესტ-მატჩს გამართავენ, თუმცა მეტოქეები ჯერ უცნობია. სავარაუდოდ, ცნობილია ვიტელთა ანთალიური სპარინგები: ჯანი კარნევალის ბიჭები რუმინულ უმაღლეს ლიგელებს — „უნივერსიტატეასა“ და „ალბა იულიას“, ასევე ტაჯიკეთის „პობედასა“ და ლიტვურ „ატლანტასს“ ეთამაშებიან.

**ილია ნანობაშვილი**

# ჩოქსა ჩოხ საღოლ

## ძოძუაშვილმა აზერბაიჯანში გოლები ჩაიტანა

*ფოთის „კოლხეთიდან“ წასული 24 წლის თავდამსხმელი მერაბ ძოძუაშვილი აზერბაიჯანულ „ბაკიში“ გადავიდა. ეს ამბავი გუშინ გაირკვა — „ჩოქსამ“ ბაქოელებთან წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.*

*ამგვარად, ორიოდ დღის წინ ბაქოსვე „ნეფთჩიში“ ჩარიცხული გიორგი ადამიას მერე ძოძუაშვილი მეორე ქართველია, ზამთრის შესვენებისას აზერბაიჯანს რომ მიაშურა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ბაკიში“ კიდევ ერთი ქართველი ვარჯიშობს — „ვიტ ჯორჯიადან“ წასული ალექსანდრე ინწკირველი...*

— დღეს მოვაწერე კონტრაქტს ხელი და ამიერიდან „ბაკიში“ ვითამაშებ — გვითხრა გუშინ მერაბ ძოძუშვილმა, რომელსაც ბაქოში შევეხმიანეთ.

**— რა გუნდია „ბაკი“?**

— ჩემპიონობისთვის იბრძვის. ახლა პირველ ადგილზეა და „ნეფთჩის“ ოთხი ქულით უსწრებს.

**— კმაყოფილი ჩანხარ...**

— ეგრეა, პირობებიც კარგია და გუნდიც ამბიციურია.

**— კონტრაქტის გაფორმებამდე გასინჯვაზე იყავი?**

— ჩამოვედი თუ არა, ზედიზედ ორი ამხანაგური მატჩი ვითამაშე. პირველში დუბლი გავაკეთე, მეორეშიც გავიტანე გოლი და ეგრევე კონტრაქტი შემომთავაზეს.

**— მწვრთნელი სადაური კაცია?**

— გარდაბნელი ყოფილა. ადრე თურმე აზერბაიჯანის ნაკრებსაც წვრთნიდა. ველაპარაკე და მითხრა, შენი იმედი მაქვსო.

**— „ბაკიში“ ინწკირველიც ჩამოვიდა...**

— ლექსო აქ არის და უკვე ივარჯიშა კიდეც.

**— ჩემპიონატი როდის განახლდება?**

— 12 თებერვალს. ახლა შეკრებაზე ვართ და სერიოზულად ვემზადებით.

**კახა შალამბერიძე**



**დიდი შანსია, მერაბ ძოძუაშვილი და ალექსანდრე ინწკირველი (მარჯვნივ) თანაბაქოელები გახდნენ**


# საქართველოს ბუღალტერთა და ტოტალიზატორთა ასოციაცია

ახალი საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე საკითხების განსახილველად, რეკომენდაციების შესამუშავებლად და ერთობლივი ღონისძიებების დასაგეგმად ასოციაციის წევრებსა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლებს იწვევს შეკრებაზე კინოთეატრ „რუსთაველის“ მეორე დარბაზში შაბათს, 15 იანვარს, 13.00 საათზე.

**საქართველოს ბუღალტერთა და ტოტალიზატორთა ასოციაციის პრეზიდიუმი**


# ჟორდანია და ჩოლარია ბლატერიტორიაზე

შაბათს მოსკოვში „თანამეგობრობის თასის“ მე-13 გათამაშება იწყება. ამ ტურნირს, ტრადიციულად, ფიფა-უეფას თავკაცებიც ესწრებიან და პოსტსაბჭოური ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრებიც ეწყობა. საამისოდ მოსკოვში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და აღმასრულებელი დირექტორი ვალერი ჩოლარიაც მიემგზავრებიან.

გუშინ კი გაირკვა, რომ ჟორდანიასა და ჩოლარიას მხოლოდ ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერთან და აღმასკომის წევრ მიშელ პლატინისთან ექნებათ ოფიციალური შეხვედრა, რადგან ევროპული ფეხბურთის თავი ლენარტ იუჰანსონი მოსკოვში ჩასვლას ველარ ახერხებს.

# ვილაპარაკოთ ქართულად!

## ბახვა თედეევი: უქართველო ალანია ალანია არ არის

*ბახვა თედეევი — ქართული საფეხბურთო სამყაროსთვის ეს სახელი კარგადაა ცნობილი. საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი, თბილისის „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველი, კარგა ხნის წინ გადაბარგდა ვლადიკავკაზში და კარიერა იქაურ „ალანიაში“ განაგრძო. მალე გუნდის კაპიტნის სამკლავურიც მოირგო და ახლა უკვე „ალანიას“ ერთგვარ სიმბოლოდაც ითვლება*



თედეევმა თამაში რომ მიატოვა, მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი და დღემდე ამ საქმეს აკეთებს. ორჯერ, როცა „ალანიას“ უჭირდა, გუნდი სწორედ ბახვა თედეევს ჩააბარეს და მანაც ვლადიკავკაზელებს რუსულ პრემიერლიგაში შეუნარჩუნა ადგილი. მერე ის სხვა მწვრთნელებმა შეცვალეს, თუმცა ახლა „ალანიას“ ახალი სეზონისთვის ისევ ბახვა თედეევი ამზადებს.

„ალანია“ რუსეთის ჩემპიონატისთვის ანთალიაში ემზადება. იქვეა ორი ქართველი ფეხბურთელიც, ვიტალი დარასელია და ლევან გვაზავა, დღეს-ხვალ კი მათ ლადო ბურდულიც უნდა შეუერთდეს. ჩვენც, როცა ბახვა თედეევს ანთალიაში დავუკავშირდით, პირველად სწორედ ქართველ ფეხბურთელებზე ვკითხეთ.

— საქმე უკვე ისეა, რომ ქართველების გარეშე „ალანია“ წარმოუდგენელია. თავადაც ხომ თბილისში დავიწყე თამაში და ძალიან კარგად ვიცი ქართველ ფეხბურთელთა შესაძლებლობები. ახლა ჩემს გუნდში გვაზავა და დარასელია თამაშობენ, თუმც კიდევ მაქვს ქართველ ფეხბურთელთა დამატების სურვილი.

**— ალბათ ლადო ბურდულს გულისხმობთ.**

— დიახ, კარგად ვიცნობ ამ ფეხბურთელს და შეკრებაზე ველი.

**— თავად ლადომ გვითხრა, ანთალიაში გასასინჯად ჩასვლას არ ვაპირებ, გუნდის ხელმძღვანელობას კონტრაქტის პირობებზე უნდა ვესაუბროო.**

— ბურდულის თამაში რამდენჯერმე მინახავს და დარწმუნებული ვარ, რომ „ალანიას“ ბურდული გააძლიერებს, მასზე საკმაოდ კარგი აზრისა ვარ. თქვენთვის ლადოს სწორად უთქვამს, ის ანთალიაში „ალანიას“ გენერალურ დირექტორს უნდა შეხვდეს და პირობები შეათანხმოს. ხელმძღვანელობაც ამ კვირაში ჩამოვა და ვიმედოვნებ, ბურდულის დაყოლიებას შეძლებენ. მე კი ერთხელაც გეტყვით, რომ ბურდული მჭირდება.

**— გავიგეთ, თითქოს თბილისის „დინამოდან“ დავით კვირკველიას გადაბირებაც გსურთ.**

— მას სიამოვნებით ვათამაშებდი ჩემს გუნდში. კვირკველიას თაობაზე მართლაც გვქონდა „დინამოსთან“ მოლაპარაკება, მაგრამ, ჯერჯერობით ეს საქმე არ გამოგვივიდა, თანაც, როგორც ვიცი, ამ ფეხბურთელს ბევრი სხვა გუნდიც ეპატიჟება. დღესდღეობით „ალანიაში“ გადმოსვლასთან ყველაზე ახლოს ბურდულია.

**— გვაზავაზე და დარასელიაზე რას გვეტყვით. გაკმაყოფილებთ მათი მომზადების დონე?**

— სხვათა შორის, ლევან გვაზავა „ზიმბრუდან“ „ალანიაში“ სწორედ ჩემი რეკომენდაციით მოხვდა. როლან კურბისი ამ ფეხბურთელს არ იცნობდა და როცა ქართველი დავუხასიათე, მან გვაზავა ორი ვარჯიშის შემდეგ გუნდში დატოვა. ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და მის რეალურ ძალას ახალ სეზონში ნახავთ. გვაზავას დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია. სამწუხაროა, რომ შარშან მძიმე ტრავმა მიიღო და შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა. დარასელიაზეც იგივეს ვიტყვი, მას საშინელი სიძლიერის დარტყმა აქვს, თუ ბურთი კარში მოარტყა, მეკარეს ბურთის მოგერიების შანსი არ აქვს. თუმცა დარასელიას, გვაზავასგან განსხვავებით, ფსიქოლოგიური პრობლემები აწუხებს.

**— ესე იგი, ძირითადში მოხვედრის უფრო მეტი შანსი გვაზავას აქვს?**

— არა, ასე ვერ ვიტყვი, დღესდღეობით „ალანიას“ ყველა ფეხბურთელს ძირითადში თამაშის თანაბარი შანსი აქვს.

**— „ალანიას“ წლეულს რა შანსი აქვს?**

— ვნახოთ, თუ ისე გავძლიერდით, ის ფეხბურთელები მოვიწვიეთ, რომლებიც მსურს, ალბათ, ხუთეულისთვის ვიბრძოლებთ. ისე კი, ჩემთვის, შემადგენლობის მიუხედავად, მთავარი ბრძოლისუნარიანი გუნდის შექმნაა. ჩემი გუნდის თამაშით ქომაგმა უნდა ისიამოვნოს.

**— თქვენ ორჯერ უკვე იყავით „ალანიას“ მწვრთნელი. თანაც მაშინ, როცა გუნდი პრემიერლიგიდან გავარდნის პირას იყო. ახლა კი სეზონს იწყებთ. ამ პოსტზე როდემდე დარჩებით?**

— როგორც გუნდს დასჭირდება, ჩემი საქმეც ისე იქნება. „ალანიას“ ერთგული ვარ და ასეთად დავრჩები. როცა გუნდს უჭირს, ჩემი დახმარება გასაკვირი არ არის.

**— რატომ ხდება ხოლმე, „ალანია“ სეზონს დიდი რიხით რომ იწყებს და ჩემპიონატის შუაში ლამის დაშლის პირას მიდის? წინა სეზონში, კურბისის მწვრთნელობის პერიოდშიც ხომ ასე მოხდა...**

— არც კი ვიცი, როგორ, რა გიპასუხოთ. ფაქტია, რომ ყოველი სეზონის წინ „ალანიას“ დიდი ამბიცია აქვს, მაგრამ... ალბათ, ჩვენი ყოველწლიური კრიზისი თუ ჩავარდნა არასტაბილურობის ბრალია.

**— სპონსორებს გულისხმობთ?**

— არა, შეძლებული სპონსორები „ალანიას“ არასდროს აკლდა. პრობლემა ისაა, რომ სტაბილური სპონსორი არ გვყავს. თუმც ახალი სეზონიდან, ვფიქრობ, ეს საკითხიც მოგვარდება.

**— ისე, ახლა რუსულად ვსაუბრობთ და არც მიკითხავს: ქართულად ველარ ლაპარაკობთ?**

— როგორ არა, ქართული არ დამვიწყებია, თუმც რუსულად უფრო მიადვილდება — *ქართულად გვითხრა ბახვა თედეევმა*

**— თბილისში ბოლოს როდის იყავით?** — *ქართულადვე განვაგრძეთ*

— აი, მაშინ, შუქი რომ ჩაქრა საქართველო — რუსეთის მატჩზე.

**— მაშინ რუსეთის მწვრთნელი ვალერი გაზაევი იყო, თქვენი მეგობარი. მის საქომაგოდ იყავით ჩამოსული?**

— არა, კარგი ფეხბურთის საქომაგოდ ვიყავი. გაზაევი კი არის ჩემი მეგობარი, მაგრამ არანაკლები მეგობრები საქართველოშიც მყავს. იმ მატჩისას თედეევი ლამაზ ფეხბურთს ქომაგობდა, სამწუხაროდ, ეს ბოლომდე ვერც მე შევძელი, ვერც სხვამ.

**კობა ინასარიძე**

## ალანიას ოთხი მილიონი მოსტაცეს

**ვლადიკავკაზიას „ალანიას“** მოლარე, რომელსაც ბანკიდან კლუბის ოფისში 4 მილიონი რუბლი (დაახლოებით 140 ათასი დოლარი) მიჰ-ქონდა, გზაში დააყაჩაღეს.

სამმა შეიარაღებულმა მძარცველმა მოლარის ავტომობილს საბურავები დაუცხრილა — ოთხთვალა გაჩერდა, ყაჩაღებმა კი ფული გაიტაცეს. ოპერატიული სამძებრო ჯგუფი სამეულს კვალზე მიჰყვა, მაგრამ ჯერ ვერ მიაგნო.

შეგახსენებთ, რომ ვლადიკავკაზიას „ალანიას“ მთავარი სპონსორი, ლუდისა და არაყის მწარმოებელი ფირმა „ისტოკი“ შარშან შემოდგომაზე გაკოტრდა და ფეხბურთელები უხელფასოდ დატოვა.

**მაჟა ხუციშვილი**

*ავსტრიული „პაშინგისა“ და თბილისის „დინამოს“ მცველ გიორგი შაშიაშვილის ურთიერთობა ჯერაც არ გარკვეულა. ჩვენებური დაახლოებით ერთი კვირაა, ავსტრიაშია და გეორგ ცელჰოფერის გუნდში ვარჯიშობს*

# იქნება თუ არა შაშინგი?



მაქსბუნდესლიგის მესამეადგილოსანს მცველი სჭირდება და შაშიაშვილის გარდა კიდევ შვიდი კანდიდატი შეუგულებია — რუსი დმიტრი ანანკო, ხორვატი ფაუსტო ბუდიჩინი, ბელარუსი სერგეი იარმოლინკა, ჩეხები — ადამ პეტროუში და რადიმ კუჩერა, პოლონელები — ტომაშ კლოსი და ანტონი ლუკაშევიჩი.

„ჩვენ მაღალკვალიფიციური მცველი გვჭირდება, ისეთი, რომლის სათამაშო დონეც დაგვაკმაყოფილებს და ფინანსური მოთხოვნებიც“ — განაცხადა „პაშინგის“ მენეჯერმა ჰანს ერბჰენდტნერმა.

ავსტრიელების თქმით, ყველაზე ახლოს გუნდში ჩარიცხვასთან ლუკაშევიჩია, რომელიც სხვა კანდიდატებზე ახალგაზრდაა (21 წლის), თუმც არც შაშიაშვილის შანსებია ნაკლები. „საქართველოს ნაკრების წევრი საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და ისიც ვიცით, რომ მისით გერმანული კლუბებიც დაინტერესდნენ“ — ასეთია პაშინგელთა შეფასება.

მოკლედ, ავსტრიელებს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერაც არ მიუღიათ, თუმც, როგორც ამბობენ, 31 იანვრამდე რომელიმე ახალწვეულთან აუცილებლად გააფორმებენ კონტრაქტს.

**კახა ზალამბერიძე**

# ასათიანს და აშვეთიას კრემლი გადაედოთ

გუშინ იტალიურ შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და 5:2 მოიგო. რკინიგზელთა მეტოქე სერია C2-ის ლიდერი „მასეზე“ გახლდათ.

ჩვენებურთაგან მხოლოდ მალხაზ ასათიანმა ითამაშა და, როგორც ასეთ თამაშებში ხდება ხოლმე, პირველი ტაიმის მერე შეცვალეს. გოლები კი რკინიგზელთა ახალწვეულებმა, იოვანოვიჩმა (სამი) და ლებედენკომ (ორი) გაიტანეს.

მომდევნო მატჩში „ლოკომოტივი“ 18 ან 19 იანვარს ნორვეგიულ „ტრომსიოს“ შეხვდება.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ იური სიომინმა უკვე შეავსო „თანამეგობრობის თასის“ განაცხადი და მასში ასათიანის გარდა მათე ღვინიანიძეც შეიყვანა.

ამასობაში ერთხელაც გადაიდო რუსეთის ჩემპიონ „ლოკომოტივის“ დაჯილდოების ცერემონიალი. რუსები რკინიგზელთათვის ოქროს მედლების გადაცემას 26 იანვარს კრემლში აპირებდნენ, თუმც ეს ღონისძიება თებერვლისთვის გადაიტანეს. ასე რომ, მალხაზ ასათიანი და მიხეილ აშვეთია თავიანთ წილ ოქროს ესპანური შეკრებიდან დაბრუნების მერე მიიღებენ.

**კახა ზალამბერიძე**



რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80





## ინგლისი

**ლიგის თასი**
**1/2 ფინალი, 1 მატჩი**

**ჩელსი 0:0 მანჩესტერი**

**ჩელსი:** კუდიჩინი, პ. ფერეირა, ტერი, გალასი, ბრიჯი, ტიაგუ (კეჟმანი 66), მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული (იაროშიკი 75), დაფი, გუდიონსენი (დროგბა 46)
**მწვრთნელი:** ჟოზე მაურინიუ
**მანჩესტერი:** ჰოვარდი, ფ. ნევილი, მ. სილვესტრი, ოში, ჰაინცე, კ. რონალდო (ა. სმიტი 90), ფლეტჩერი, ჯემბა-ჯემბა (სქოულზი 61), კ. ფორჩუნი, რუნი, საა
**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი
**გაფრთხილება:** ჰაინცე, დროგბა, რონალდო
**მსაჯი:** ბერი
41 492 მაყურებელი
*საპასუხო მატჩი გაიმართება 26 იანვარს*

თითქოს არაფერია ინგლისის ლიგის თასი და უფრო პატარა გუნდები ეტანებიან ხოლმე, მაგრამ რახან ნახევარფინალში „ჩელსი" და „მანჩესტერი" მოხვედრილან და

# ფერგიუსონი ბუაა!
## მაურინიუმ მსაჯის ოთახში კაცი დაინახა

წლევანდელი სეზონიც ძალიან მწარეა, უბრალო თამაში არ გამოდის.

ამასწინათ, ჟოზე მაურინიუმ თქვა, „ჩელსი" წლეულს ოთხი ტიტულისთვის იბრძოლებსო და ის პატარა ლიგის თასიც იგულისხმა. სერ ალექს ფერგიუსონმა კი სასწრაფოდ უპასუხა, არავითარი ოთხიო. ჰოდა, ოთხშაბათს ღამით „სტემფორდ ბრიჯზე" ამ თასის ნახევარფინალის პირველი მატჩი იყო, რომელშიაც „ჩელსიმ" საშინაო უპირატესობა ვერ დაიბევა და უგოლო თამაშიდან არცთუ კმაყოფილი გამოვიდა, თანაც ისე, რომ „მანჩესტერი" მაინცდამაინც მთავარი შემადგენლობით არ იყო.

თამაშში იყო არდანიშნული პენალტი: ლუი საა მასპინძელთა საჯარიმოში წააქციეს. ასევე იყო ორი მომენტი, რომლის დროსაც „მანჩესტერმა" კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი და იყო აგრეთვე ჩხუბიც. გადასულ ბურთს გადევნებული დიდიე დროგბა და კრისტიანო რონალდო ერთმანეთს ეტაკნენ, სტუმარს კვინტონ ფორჩუნი დაეხმარა და ატყდა ყელში ხელის წაჭერები და გუნდი-გუნდზე გაშველება-გაწევ-გამოწევა.

ჟოზე მაურინიუ ძალიან უკმაყოფილო დარჩა შედეგით და მსაჯობით. განსაკუთრებით მეორე ტაიმში. მსაჯად იყო ნილ ბერი და მაურინიუმ ჩვეული კომენტარები არ დაიშურა: „მსაჯი თითქოს სხვა იყო შესვენების შემდეგ. ვვარაუდობ, რომ ის მარტო არ იყო გასახდელში. თუ ასოციაცია დამკითხავს, ვეტყვი, რომ მსაჯთან ვიღაც შევიდა.

ეგებ მე რომ 60 წლის ვიყო და 20 წელიწადს ვტრიალებდე ლიგაში, ყველა პატივს მცემდეს და მერიდებოდეს, ვინძლო ჩემმა ლაპარაკმაც შეაშინოს კიდეც ვიღაც.

მეორე ტაიმში გვაჯარიმებდნენ და გვაჯარიმებდნენ და ბურთი სულ „მანჩესტერს" ჰქონდა. მე მსაჯს არ ვადანაშაულებ. ის კარგი კაცია, მაგრამ აქ არის ზეგავლენის საკითხი. მე ამის შესახებ მეოთხე მსაჯს ვუთხარი".

ფერგიმ არ უარყო, რომ მსაჯს გამოელაპარაკა, მაგრამ გავლენა უარყო: „თუ მასეა, პირველი ტაიმის წინ რატომ არ დავაშინე? რაც შეეხება საას წაქცევას მათ საჯარიმოში, ფირზე ვნახე და პენალტს ჰგავს. მაგრამ ჩვენ „სტემფორდ ბრიჯზე" ვთამაშობდით და იქ სტუმარმა რომ პენალტი დაარტყას, ლამის წარმოუდგენელია".

მაურინიუ მაინც არ დაცხრა: „მანჩესტერმა" ერთ წელიწადს ხმა უნდა გაკმინდოს მსაჯთა უსამართლობაზე. ისეთი რამ, რაც მათი და „ტოტენჰემის" თამაშისას მოხდა, საერთოდ არ მინახავს ფეხბურთში".

„ჩელსის" ბოსის ლაპარაკს კი ალბათ უყურადღებოდ არ დატოვებს ფეხბურთის ასოციაცია. საპასუხო მატჩი კი ორ კვირაში „ოლდ ტრეფორდზეა", მანამდე კი გუნდებს სხვა დარდები აქვთ. ამ შაბათს „მანჩესტერი" „ენფილდს" სტუმრობს და ლივერპულელთა ახალწვეული ფერნანდო მორიენტესი ამბობს: „ეს საუცხოო დებიუტი იქნება ჩემთვის, პირდაპირ „მანჩესტერს" შევეჯახები. ვფიქრობ, ჯანმრთელობის ტესტი მოესწრება".

**ირაკლი გამყრელიძე**

## იტალია

**თასის 1/8 ფინალი**
**საპასუხო მატჩები**

***მილანი* 2:0 პალერმო (2:1)**
1:0 ბროკი (19), 2:0 ტომასონი (77პ)
**მილანი:** აბიატი, კოლოჩინი, ნესტა, სტამი (პანკარო 72), კოსტაკურტა, ბროკი, ამბროზინი (ესაიასი 87), დორასო (გატუზო 80), რუი კოშტა, ზეედორფი, ტომასონი
**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი
**მსაჯი:** პალანკა
4 349 მაყურებელი

**ბოლონია 1:3 *ინტერი* (1:3)**
1:0 ბინოტო (46), 1:1, 1:2, 1:3 მარტინსი (56, 82, 85)
**ინტერი:** ა. ფონტანა, ზე მარია, ი. კორდობა, ბურდისო, კოკო, ვან დერ მეიდე (ხ. ვერონი 69), კ. ძანეტი (დავიდსი 61), დ. სტანკოვიჩი (გამარა 86), კარაგუნისი, რეკობა, ო. მარტინსი
**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი
**მსაჯი:** გაბრიელე
8 000 მაყურებელი

***სამპდორია* 1:2 ტორინო (2:0)**
0:1 ფრანკო (49), 1:1 კუტუზოვი (59), 1:2 ფრანკო (82)

**პარმა 0:3 *ფიორენტინა* (0:2)**
0:1 ფანტინი (54), 0:2 მარესკა (69), 0:3 მაჯო (80)

კოპა იტალიის მერვედფინალის საპასუხო მატჩებში სენსაციური არაფერი მომხდარა და რამდენიმე მათგანი ამხანაგურ მატჩსაც ჰგავდა. ასე მაგალითად, „პარმასა" და „ფიორენტინას" თამაშს ბრძოლისა ბევრიც არაფერი ეტყობოდა — პარმელებს ფლორენციაში 0:2 ჰქონდათ წაგებული და საპასუხო მატჩიდან, როგორც გამოჩნდა, არაფერს მოელოდნენ.

თავი არც სტუმრებს მოუკლავთ, მაგრამ თამაში მათ უფრო აქტიურად დაიწყეს.

ისე საინტერესოა: პარმელებმა პირველ ტაიმში უგულოდ ითამაშეს და



ობაფემი მარტინსი (მარცხნივ) ბოლონიელებმა ვერ შეაჩერეს

# მარტინსის ბენეფისი

გოლი მაინც არ გაუშვეს, შესვენების მერე კი უფრო მონდომებულები ჩანდნენ და სწორედ გააქტიურების მერე გაუშვეს სამივე გოლი.

ამგვარად, მეოთხედფინალში „ფიორენტინა" „სიენასა" და „რომას" წყვილში გამარჯვებულს შეხვდება.

„სტადიო დალ არაზე" ჰეთ თრიქი შეასრულა ობაფემი მარტინსმა, რისი წყალობითაც „ინტერმა" „ბოლონიას" ორი მატჩის ჯამში 6:2 სძლია.

„ინტერს", რაკი პირველი თამაში 3:1 ჰქონდა მოგებული, თავი დიდად არ გამოუდია, მაგრამ პირველი ტაიმი 0:1 რომ წააგო, შეშინდა. ერთი გოლიც და, მეოთხედფინალში „ბოლონია" გავიდოდა.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა თითქოს აღმაფრენით დაიწყეს, მაგრამ მალევე გამოჩნდა, რომ გაუჭირდებოდათ. გეორგიოს კარაგუნისმა ხარიხას გაარტყა და ვითარება ამით განიმუხტა. რამდენიმე წუთში უკვე ალვარო რეკობას დარტყმული აისხლიტა ხარიხამ, მაგრამ ამჯერად გადმოვარდნილ ბურთთან მარტინსი გაჩნდა და ანგარიშიც გაათანაბრა.

ამის მერე მილანელებს უკვე მშვიდად შეეძლოთ ყოფნა, ბოლონიელებმა კი ყურები ჩამოყარეს და ბოლო წუთებზე კიდევ ორი გოლი გაუშვეს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ოცი წუთი შეცვლაზე ხუან ვერონმა ითამაშა, ვინაც ტრავმის გამო მოედანზე ორი თვე არ გასულიყო.

მომდევნო ეტაპზე „ინტერი" „იუვენტუსსა" და „ატალანტას" შორის გამარჯვებულს შეხვდება.

მეორე მილანურმა კლუბმა „მილანმა" მალე მოათავა საქმე. მე-19 წუთი იყო, როცა კრისტიან ბროკის 25 მეტრიდან დარტყმულმა მიზანს უწია. ამის მერე რამოდენიმე კარგი მომენტი ორივე გუნდს ჰქონდა, თუმცა შედეგიანი დარტყმა მხოლოდ ერთიღა იყო — იონ დალ ტომასონმა პენალტით მეორე გოლი გაიტანა. პენალტი კი მისივე წაქცევისთვის დაინიშნა.

**ირაკლი ნინიძე**

## ესპანეთი

**თასის**
**მერვედფინალი**
**პირველი მატჩები**

**მირანდესი 1:3 ბეტისი**
1:0 როდრი (46), 1:1 ედუ (74), 1:2 რ. ოლივეირა (75), 1:3 ისრაელი (90)

**ოსასუნა 2:0 ხეტაფე**
1:0 ივან მუნიოსი (71), 2:0 მოა (83)

**ელჩე 1:0 ნუმანსია**
1:0 რ. სუარესი (45)

**ლორკა 1:3 ატლეტიკო**
0:1 ანტონიო ლოპესი (44), 1:1 ალეშანდრე (64), 1:2 ივან პაბლო (80), 1:3 ბრაულიო (86)

**ლანსაროტე 2:1 ბილბაო**
1:0 ალეხანდრო (21), 1:1 ალეხანდრო (36ს.კ.), 2:1 ალეხანდრო (44)

**გრამანეტი 2:0 ლეიდა**
1:0 მარიო (52), 2:0 დიმაში (59)

**უელვა 0:2 სევილია**
0:1, 0:2 ბაპტისტა (70პ, 77პ)

სარბიელი
სამუშაოდ
იწვევს
გაზეთში ნამუშევარ
დამკაბადონებელს
მიღება
მოხდება
შერჩევით
მსურველებმა
მოგვაკითხეთ
„სარბიელის" რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი 42,
II კორპუსი,
IV სართული,
15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14

## საფრანგეთი

### პირველი დივიზიონი
### XX ტური

**კაენი 0:0 პსჟ**

**ისტრი 0:1 მონაკო**

0:1 ს. კამარა (16)

**მეცი 1:0 აიაჩო**

1:0 პრომენი (85)

**ნიცა 3:3 ბორდო**

1:0 რუდე (35), 1:1 სიდი (45), 2:1 ვაირუა (45), 2:2 ფრანსია (55), 2:3 შამახი (63), 3:3 ვაირუა (903)

**რენი 1:0 ოსერი**

1:0 ა. ფრეი (62)

**სოშო 0:2 ლიონი**

0:1 ბერგონო (6), 0:2 მ. დიარა (41)

**სენტ ეტიენი 0:0 ლანსი**

**ტულუზი 2:0 სტრასბური**

1:0 პსომე (22), 2:0 ედუარდო (90)

**ბასტია 0:0 ნანტი**

**ლილი 1:2 მარსელი**

0:1 მარლე (2), 0:2 ნასრი (22), 1:2 ბრუნელი (53პ)

# ოცში ნული
## ბორდო ინტერზე მეტია



REUTERS სოშოდან

სოშოელ მიკაელ იზაბეის ლიონელმა მაჰამადუ დიარამ ბურთი არ დაანება

„ლიონის“ დამჩოქებელი ჯერ არ გამოჩენილა. პოლ ლე გუენის შეგირდებმა მიჯრით მეოცე მატჩში არ წააგეს და სტუმრად „სოშოს“ ძლევის შედეგად მდევარ „ლილს“ ექვსი ქულით დაუსხლტდნენ.

ტრავმირებული სილვენ ვილტორდისა და ფლორენ მალუდას ნაცვლად ჩემპიონთა შემადგენლობაში ყმაწვილმა ბრაიან ბერგუნუმ და ყოფილმა სოშოელმა პიერ-ალან ფრომ ითამაშეს. ამ წყვილმა შექმნა კიდეც პირველი გოლი და ბერგუნუს წყალობით სტუმრები მალევე დაწინაურდნენ. მეორე ტაიმში მაჰამადუ დიარამ კუთხურიდან ჟუნინიოს ჩაწოდებულ ბურთს დაუხვედრა თავი და ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა.

„მარსელმა“ საფრანგეთის თასზე მეორედივიზიონელ „ანჟესთან“ შინ მარცხის შემდეგ სტუმრად ლილში იმარჯვა და ქომაგთა თვალში ნამუსი მოიწმინდა. სტივ მარლემ მეორე წუთზევე გახსნა ანგარიში, სამირ ნასრიმ კი ტავლარიდისის ჯადოპასით მეორედ დაამწუხრა მასპინძელი მეკარე. შესვენების შემდეგ დამხვდურებმა ერთი გოლი პენალტით გაქვითეს. მარსელელი აბდულაიე მეიტე ამაოდ ედავებოდა მსაჯს, მეტ მუსილუ საჯარიმოს გარეთ წავაქციეო, მაგრამ არბიტრმა წაუყრუა და სტუმართა კარში პენალტი დანიშნა, რომელიც ფილიპ ბრუნელმა გამოიყენა.

„ისტრს“ ორი მწვრთნელის დანიშვნამაც ვერ უშველა. ლიგის უმაჩანჩალესმა შინ „მონაკოსთან“ წააგო და მეორე დივიზიონისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. ხავიერ სავიოლას კარგი თამაშით შეგულიანებული მონაკოელები მთელი მატჩის განმავლობაში უტევდნენ მეტოქეს, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლეს. ლუკას ბერნარდიმ მოედნის საკუთარი ნახევრიდან საგოლე პასი გაუჩარხა სულეიმან კამარას და მანაც რუდი რიუს გაუტანა.

გი რუს „ოსერს“ მესამე ადგილზე გადასვლის შანსი ჰქონდა და საამისოდ რენში უნდა ემარჯვა, მაგრამ ოსერელები სტუმრად დამარცხდნენ. „რენის“ მეკარე ანდრეას ისაკსონმა საუცხოოდ ითამაშა და მეტოქეს არაერთი საგოლე მომენტი ჩაუფლავა. მეორე ტაიმში ოლივიე მონტერუბიოს პასით ალექსანდრ ფრეიმ „რენის“ გამარჯვებისა გაიტანა. შეხვედრის დასრულამდე ოთხი წუთით ადრე მასპინძელთა საჯარიმოში კანგა აკალე წააქციეს და სტუმარი პენალტს ითხოვდა, მაგრამ მსაჯმა ყური არ უგდო.

„ბორდო“ მილანის „ინტერს“ ფრეებში ეჯიბრება და ამ ტურის შემდეგ გაუსწრო კიდეც. ბორდოელები ორჯერ აგებდნენ ნიცაში, მაგრამ მაინც ფრე გამოვიდა. ნიცელმა მარამა ვაირუამ შეხვედრის ბოლო წუთზე გაათანაბრა, როცა სტუმრები ათნი დარჩნენ.

პსჟ-მ კაენში ვერ მოიგო და პარიზელთა მწვრთნელი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩმა დაიჩივლა: „ჩემმა გუნდმა კარგად ითამაშა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ქულა ავიღეთ. ბევრი საგოლე მომენტი გავანიავეთ“.

ამასობაში „ტულუზმა“ მიჯრით მესამე შეხვედრა მოიგო და ექვსეულში გაერია, ხოლო „სენტ ეტიენმა“ წაუგებელ მატჩთა სერია შვიდამდე გაზარდა.

**მაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 20 | 11 | 9 | 0 | 25:8 | 42 |
| ლილი | 20 | 10 | 6 | 4 | 24:13 | 36 |
| მონაკო | 20 | 8 | 9 | 3 | 25:18 | 33 |
| ოსერი | 20 | 9 | 5 | 6 | 26:20 | 32 |
| მარსელი | 20 | 9 | 5 | 6 | 24:19 | 32 |
| ტულუზი | 20 | 8 | 7 | 5 | 23:17 | 31 |
| ბორდო | 20 | 5 | 13 | 2 | 24:13 | 28 |
| სენტ ეტიენი | 20 | 6 | 9 | 5 | 26:19 | 27 |
| სოშო | 20 | 7 | 6 | 7 | 24:21 | 27 |
| პსჟ | 20 | 6 | 9 | 5 | 23:22 | 27 |
| ნიცა | 20 | 6 | 8 | 6 | 27:28 | 26 |
| რენი | 20 | 7 | 5 | 8 | 20:23 | 26 |
| მეცი | 20 | 6 | 8 | 6 | 18:26 | 26 |
| ლანსი | 20 | 5 | 10 | 5 | 21:20 | 25 |
| კაენი | 20 | 4 | 8 | 8 | 15:30 | 20 |
| ნანტი | 20 | 4 | 7 | 9 | 16:22 | 19 |
| სტრასბური | 20 | 4 | 7 | 9 | 18:27 | 19 |
| ბასტია | 20 | 4 | 6 | 10 | 14:25 | 18 |
| აიაჩო | 20 | 2 | 10 | 8 | 16:24 | 16 |
| ისტრი | 20 | 1 | 9 | 10 | 10:24 | 12 |



# ხელფასიც და თამაშიც
## იონ დალ ტომასონს მარსელი ეძახის

**ფრანგული** „ლა პროვანსის“ ცნობით, „მარსელი“ სულ მალე მილანელ იონ დალ ტომასონს იჯარით წაიყვანს.

გავიხსენოთ, რომ მარსელელებს ზაფხულშიც სურდათ დანიელის გადაბირება, მაგრამ ვერ მოახერხეს და ახლა კლუბის ახალი პრეზიდენტი, პაპე დიუფი გაორმაგებული ძალით შეუდგა ამ საქმის გაჩარხვას.

წესით „მილანი“ იოლად უნდა დათანხმდეს ფეხბურთელის გაშვებას, რაკი გუნდში, სადაც ანდრეი შევჩენკო, ფილიპო ინძაგი, კაკა და ერნან კრესპო თამაშობენ, დალ ტომასონის ადგილი აღარ არის და მუდმივად სათადარიგოობისთვისაა განწირული.

ფრანგულ კლუბში გადასვლის პირობები სავარაუდოდ ასეთია: იჯარა 6-თვიანი იქნება და „მარსელი“ ფეხბურთელს იგივე ხელფასს გადაუხდის, რასაც ის „მილანში“ იღებს. ასეთი გარიგება ორივე კლუბისთვის მომგებიანია. ფრანგები ტრანსფერის ღირებულებას არ გადაიხდიან, იტალიელები კი უსარგებლო ფეხბურთელისთვის ხელფასის გადახდისგან განთავისუფლდებიან.

დალ ტომასონის გარდა, „მარსელის“ მწვრთნელ ფილიპ ტრუსიეს ბიქსენტ ლიზარაზუს შემცვლელიც სჭირდება, რაკი ახლადნაყიდი ყმაწვილი ნიგერიელი ტაიე ტაივო გამოცდილ ბასკს სრულფასოვნად ვერ შეცვლის.

ამბობენ, „მარსელი“ რომაელ ვენსან კანდელას და რეინჯერსელ გრეგორი ვინალსაც უმიზნებსო.

**ირაკლი ნინიძე**

# სოლარის მილანი არ ასცდება, პორტილიოს რმალი

*მადრიდის „რეალში“ ცვლილებების ხანა ჯერ არ დასრულებულა და ბოლო ცნობით, სანტიაგო სოლარის „სან სიროზე“ გაუშვებენ, ხავიერ პორტილიოს კი „ფიორენტინადან“ დაიბრუნებენ*

**ხმების თანახმად**, „გალაქტიკოსთა“ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს სოლარი ათვალწუნებული ჰყავს და მიზეზს ეძებს მისი თავიდან მოსაცილებლად. გარდა ამისა, არგენტინელს მალე კონტრაქტის ვადაც გასდის, მისით კი „ბარსელონაა“ დაინტერესებული. პერესს სოლარი არ მოსწონს, მაგრამ ცხადია, არც ის უნდა „ბარსელონა“ გააძლიეროს.

მეორე მხრივ, სოლარი კარლო ანჩელოტისაც უნდა და უეჭველია, რომ „მილანის“ ფანობა მას სიყვარულით მიიღებს — როცა „რეალს“ „ინტერიდან“ რონალდო მიჰყავდა და ფულთან ერთად ხურდაში სოლარისაც სთავაზობდა, არგენტინელმა გადაჭრით იუარა, „ინტერში“ არ წავალო.

თავში პორტილიოც ვახსენეთ. „ფიორენტინას“ მწვრთნელი სერჯო ბუზო მას არ სწყალობს და მეტწილად სათადარიგოდ ჰყავს. ანუ ფაქტობრივად, ფლორენციელებმა ტყუილად ისესხეს „რეალისგან“. ამავე დროს, მადრიდელთა ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომ თქვა, პორტილიო მორიენტესის შემცვლელად გვინდაო. მოგეხსენებათ, მორიენტესი აწ უკვე „ლივერპულის“ ფეხბურთელია.

ესპანეთში დაბრუნება თავად პორტილიოსაც უნდა, თუმცა მის იჯარას ვადა მხოლოდ ექვსი თვის მერე გასდის.

**კოტე კეკელია**



სანტიაგო სოლარი ალბათ „რეალს“ დატოვებს, ხავიერ პორტილიო კი მადრიდში დაბრუნდება



# ძველი და ახალი გერმანელები

## ფიოლერი კლინსმანს ჭკუას არ ასწავლის





**ოდესღაც ისინი გერმანიის ნაკრების შემტევები იყვნენ და მეტოქეთა მცველ-მეკარეებს აოფლიანებდნენ. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. რუდი ფიოლერმა ბუნდესნაკრები ჩაიბარა და 2002-ში მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლით შემოსა, შარშან კი, ევრო 2004-ის შემდეგ, მან სკამი იურგენ კლინსმანს გადაულოცა. მომავალი მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა 1990 წელს გერმანია მსოფლიოს ჩემპიონობას აზიარა და მის გუნდში მაშინ ფიოლერ-კლინსმანის წყვილი უტევდა. „რუდი და იურგენი ყოველთვის ასი პროცენტით იხარჯებოდნენ. მათთვის, როგორც ფორვარდებისთვის, წინაღობა არ არსებობდა. ორივე მაქსიმალისტია, ორივე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ფიოლერმა ნაკრები მაშინ (2000 წელს) ჩაიბარა, როცა გუნდი აშკარად მოიკოჭლებდა, მაგრამ 2002-ში ფინალში გააღწია. ამ მხრივ, იურგენ კლინსმანი უკეთეს ვითარებაშია. მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიაში ჯგუფიდან ვერ გავედით, გულშემატკივრებს ნაკრებისა მაინც სჯერათ. ახლა გერმანიას გვირგვინი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე კლინსმანმა უნდა დაადგას" — განაცხადა „კაიზერ ფრანცმა". ამას წინათ, ფიოლერს და კლინსმანს „კიკერის" ჟურნალისტები რაინერ ფრანცკე და კარლ-ჰაინც ვილდი შეხვდნენ. ძველ და ახალ მწვრთნელებთან ინტერვიუ დაწყვილებულ კორესპონდენტებს როგორ გამოუვიდათ, თავად განსაჯეთ**

**— 2004 წელი დასრულდა. განვლილმა თორმეტმა თვემ გერმანული ფეხბურთი რითი გაამდიდრა?**

— *კლინსმანი:* ბუნდესლიგაში ისევ შემტევ ფეხბურთს თამაშობენ. „მაინცმა", „ნიურნბერგმა" და „არმინიამ" სასიამოვნოდ გამაოცეს. ჩვენი ფეხბურთი კვლავაც ღირსეულად გამოიყურება, გულშემატკივრები კი ისევ ავსებენ სტადიონებს.

— *ფიოლერი:* ტრიბუნებზე შესანიშნავი განწყობა სუფევს.

**— პირადად თქვენთვის 2004 რით იყო კარგი?**

— *ფიოლერი:* ოპტიმისტური განწყობა უნდა შევინარჩუნოთ — უკეთესიც შეიძლებოდა, მაგალითად, როგორც 2002 წლის ზაფხულში.

— *კლინსმანი:* ევრო 2004-ს გულშემატკივრად ვეწვიე, ცხადია, გერმანიის ეროვნულ გუნდს ვქომაგობდი. ყველას უკეთესი შედეგის მიღწევა გვსურდა. ბუნდესნაკრები ამჟამადაც ძიებისა და შენების პროცესშია.

**— ჰერ, რუდი, ევრო 2004-ზე ჯგუფიდან გავარდნის შემდეგ თქვენ წახვედით. ხომ არ ინანეთ?**

— *ფიოლერი:* პირიქით. ოთხი წელი სრულიად საკმარისი იყო.

**— არც ისე დიდი დროა...**

— *ფიოლერი:* მწვრთნელისთვის ალბათ არაა დიდი დრო, მაგრამ საკმაოდ ბევრი რამ გადავიტანე. ჩვენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ვითამაშეთ, 2002-ში კი ვერცხლს დავეუფლეთ.

**— ასე სწრაფად რატომ გადაწყვიტეთ წასვლა?**

— *ფიოლერი:* 2001-ში უკრაინასთან ორმატჩიან პლეი ოფში რომ წაგვეგო, მაშინვე წავიდოდი. რაც შეეხება პორტუგალიაში გამართულ ევროჩემპიონატს, აქ უკვე აშკარად ჩავვარდით, თუმც ევრო 2002-თან შედარებით უკეთესად გამოვჩნდით. გულშემატკივართა იმედები ვერ გავამართლეთ, თან სათანადო მხარდაჭერაც მაკლდა. რომ დავრჩენილიყავი, ბევრი რამის შეცვლა მომიწევდა იმ გუნდში, რომელშიც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ბევრი ფეხბურთელი თამაშობდა. ეს ძალიან რთული პროცესი იქნებოდა ჩემთვის. ახალი მწვრთნელისთვის კი ყველაფერი გაცილებით იოლია, რადგან მას ძველი ტვირთი არ აწევს.

**— ჰერ, იურგენ, მოგწონთ თქვენი სამუშაო?**

— *კლინსმანი:* მე და ჩემი კოლეგები ვამაყობთ ჩვენი საქმით. მსოფლიოს ჩემპიონატი დიდი მოტივაციაა.

**— მსოფლიოს ჩემპიონატს გერმანია რომ არ მასპინძლობდეს, ბუნდესმწვრთნელობაზე დათანხმდებოდით?**

— *კლინსმანი:* დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს ცხოვრებაში ასეთი სასიამოვნო დამთხვევა აღარასოდეს იქნებოდა და ამიტომ უყოყმანოდ დავთანხმდი. რა თქმა უნდა, უარს ვიტყოდი იმ შემთხვევაში, თუ მენეჯერად ოლივერ ბირჰოფს ვერ ავიყვანდი და ისეთი გუნდის შექმნის საშუალება არ მებოძებოდა, როგორიც ახლა მყავს.

— *ფიოლერი:* ჩვეულებრივი ამბავია. მაგალითად, იტალიაშიც ახალ მწვრთნელს თავისი სამი-ოთხი თანაშემწე მიჰყავს. თავის დროზე თანაშემწედ მიხაელ სკიბე მყავდა. გერმანიის საფეხბურთო კავშირს სხვა კანდიდატი რომ შემოეთავაზებინა, მწვრთნელობაზე უარს ვიტყოდი.

**— ეგებ სჯობდა, თქვენც გყოლოდათ მენეჯერი, ისევე როგორც კლინსმანს ბირჰოფი?**

— *ფიოლერი:* არა, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერს თავად შევძლებდი.

— *კლინსმანი:* ჩემთვის ოლივერ ბირჰოფი ხერხემალია, რომელიც მყარად ფეხზე დგომაში მეხმარება.

— *ფიოლერი:* რა თქმა უნდა, ბირჰოფი დიდად ეხმარება, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვნად სხვა რამ მენიშნა, რაც ბევრს არ მოეწონა — ის, რომ კლინსმანი ამერიკაში ცხოვრობს და არა გერმანიაში. ამ მხრივ, მისი ნაღდად მშურს. ზოგჯერ მეც მინატრია აქედან შორს გადაკარგვა და დასვენება.

**— გერმანიაში საცხოვრებლად ჩამოსვლას არ აპირებთ?**

— *კლინსმანი:* 2005-ში აზრი არა აქვს, შესაძლოა, მომდევნო წლის დასაწყისში ჩამოვიდე.

**— იურგენ კლინსმანმა ნაკრებში რამდენიმე რადიკალური ცვლილება გააკეთა. მსგავსი რამ მთავარ ბუნდესგუნდში ოდესმე მომხდარა?**

— (ფიოლერი კლინსმანს) შესარჩევ ტურნირში თამაში არ გიწევს და ამ მხრივ თავისუფალი ხარ. შესარჩევ ჯგუფში რომ იყო, მეეჭვება ასეთი ცვლილებისთვის მიგემართა.

— *კლინსმანი:* ალბათ, მართალია. ამხანაგურ შეხვედრებში წაგება ქულებს არ გვართმევს და მარცხი იოლი გადასატანია, თან ბევრ ახალგაზრდას გამოვცდი.

**— ვინ მოგეწონათ სხვებზე მეტად?**

— *კლინსმანი:* რობერტ ჰუთი. ახალგაზრდული ნაკრებიდან მოსულმა უცბად აუღო ალღო ვითარებას.

**— მეკარეებზე რას იტყვით?**

— *კლინსმანი:* მსოფლიო კლასის ორი მეკარე გვყავს — კანი და ლემანი. იტალიის გარდა, ასეთი ფუფუნებით ვერავინ დაიკვეხნის.

— *ფიოლერი:* მსოფლიოს ჩემპიონატამდე წელიწადნახევარი დარჩა, მაგრამ ჯერჯერობით ოდნავ უკეთ კანი გამოიყურება.

**— კლინსმანმა კაპიტნის სამკლავური კანის მკლავიდან ბალაკისაზე გადაიტანა. ეს სწორი ნაბიჯი იყო?**

— *ფიოლერი:* კარგი საჭადრაკო სვლა გამოვიდა. ამის შემდეგ მიხაელ ბალაკის პრესტიჟმა გუნდში კიდევ უფრო აიწია. ჩემს ნაკრებშიც ის ერთ-ერთი მთავარი ფეხბურთელი იყო და კარგი ურთიერთობა გვქონდა.

— *კლინსმანი:* ბალაკით ძალიან კმაყოფილი ვარ. მსურდა, რომ კაპიტანი მოედნის მოთამაშე გამხდარიყო. ეს ფაქტი მას მეტ პასუხისმგებლობას ანიჭებს და ამას თავადაც კარგად გრძნობს.

**— ევრო 2004-ის გარჩევის შემდეგ კლინსმანმა თქვა, რომ გერმანიის ნაკრები სხვებს ტემპში ერთი ნაბიჯით ჩამორჩებოდაო.**

— *კლინსმანი:* მე სხვებში თხუთმეტივე დანარჩენ გუნდს არ ვგულისხმობდი.

— *ფიოლერი:* ყველაფერი ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. თითოეული მწვრთნელი თავისებურად ხედავს. მაგალითად, ჰამანს მე მცველების წინ ვათამაშებდი, კლინსმანს კი სურს, რომ ამ ამპლუის ფეხბურთელმა შეტევაში მეტი დრო გაატაროს.

— *(კლინსმანს)* **თქვენს ჰამანს ტორსტენ ფრინგსი ჰქვია?**

— ფრინგსმა ბრწყინვალე თამაშით ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი.

— *(ფიოლერს)* **კლინსმანი მთავარ მწვრთნელად რომ დანიშნეს, რა ურჩიეთ?**

— *ფიოლერი:* მას რჩევა-დარიგება არ სჭირდება.

— *კლინსმანი:* ფიოლერმა მითხრა, დახმარება თუ დაგჭირდება, ნებისმიერ დროს დამირეკეო.

**— 2006 წელს თქვენ მსოფლიოს ჩემპიონობას გიწინასწარმეტყველებენ. თუ ვერ შეძლებთ, წახვალთ?**

— ჯერ მთელ ძალასა და ცოდნას დავხარჯავ ნაკრებისთვის, მერე დავლევთ ყავას და შედეგებს შევაჯამებთ. თუ არაფერი გამოვიდა, სათანადო გადაწყვეტილებას მივიღებ, მაგრამ თუ ოქრო მოვიგეთ, ყველანი გავიხარებთ, ერთად დავსხდებით და მომავალზე ვისაუბრებთ.

# მუტუ ბებერმა ქალბატონმა შეიფარა



**სერია A-ს** ლიდერმა „იუვენტუსმა“ ოთხშაბათს საღამოს „ჩელსისგან“ შერისხულ და გუნდიდან გარიცხულ ადრიან მუტუს 5-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

რუმინელ ფორვარდს, რომლის „ჩელსიდან“ გაგდების მიზეზი მისი კოკაინისადმი ტრფიალი გახდა, მოგეხსენებათ, 7-თვიანი დისკვალიფიკაცია აქვს მოსახდელი. ვადის ათვლა ოქტომბრიდან დაიწყო და 18 მაისს მთავრდება. ეს ნიშნავს, რომ მუტუ „იუვენტუსს“ ამ სეზონში მხოლოდ ბოლო ორ ტურში დაეხმარება.

26 წლის რუმინელს იტალიაში აქამდე სამნახევარი წელი აქვს ნათამაშევი. თავის დროზე ის ბუქარესტის „დინამოდან“ მილანის „ინტერმა“ იყიდა. ეს 2000 წლის იანვარში იყო. მერე მუტუ „ვერონასა“ და „პარმაში“ თამაშობდა. ამის მერე „ჩელსიში“ გადავიდა, საიდანაც უკვე ვთქვით, როგორც გააგდეს.

**ირაკლი ნინიძე**

# კაპელომ დელ პიერო იაპონიისთვის გაიმეტა

**ტურინის** „იუვენტუსში“ ნელ-ნელა ცვლილებები ხდება. ცოტა ხნის წინ „მალიორკაში“ გაყიდულ მარკ იულიანოს ბედს მალე ალბათ იგორ ტუდორი და ნიკოლა ლეგროტალიე გაიზიარებენ. „ბებერი ქალბატონის“ ამ ორი მცველით ინგლისური „ვესტ ბრომვიჩია“ დაინტერესებული და კლუბები უკვე თითქმის ყველაფერზე შეთანხმდნენ. თუმც, მთავარი ამბავი ის გახლავთ, რომ იტალიურ პრესაში „იუვეს“ კაპიტნის, ალესანდრო დელ პიეროს გასხვისებაზეც დაიწერა.




როგორც იცით, 30 წლის ფეხბურთელს ტურინელთა მთავარ მწვრთნელ ფაბიო კაპელოსთან არცთუ კარგი დამოკიდებულება აქვს. ამას დელ პიეროს არასათანადო ფორმაც ემატება. მიმდინარე სეზონში იგი უკვე 17-ჯერ გაიყვანეს დროზე ადრე მინდვრიდან.

ოპერაციის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა დავიდ ტრეზეგე, ხოლო მომავალი სეზონიდან „იუვენტუსის“ მაისურას ამბიციური რუმინელი ფორვარდი ადრიან მუტუ მოირგებს. ეს ყველაფერი დელ პიეროს მომავალს საკმაოდ ბუნდოვანს ხდის და მას უკვე პირველი მსურველებიც გამოუჩნდნენ.

„ბებერი ქალბატონის“ კაპიტანი აზიაში, კერძოდ კი იაპონიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. შესაბამისად, მისი გადაბირება ჯეი ლიგის ნებისმიერ გუნდს სერიოზულ ფინანსურ სარგებელს მოუტანს. იტალიური პრესის ცნობით, სურვილი უკვე რამდენიმე კლუბმა, მათ შორის „კაშიმა ანთლერსმა“ გამოთქვა. იაპონური გუნდები მზად არიან, დელ პიეროში საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადონ, ხოლო თავად ფეხბურთელს ფინანსური თვალსაზრისით არნახულ პირობებს სთავაზობენ.

**გიორგი ძაძამიძე**

# თუ გაგვყიდით, თქვენ მოგვყიდით

## რეალი ლივერპულს ჯერარდზე შეუთანხმდა




**ესპანური** „მარკას“ ცნობით, ფლორენტინო პერესის მადრიდის „რეალმა“ ინგლისურ „ლივერპულთან“ შეთანხმებას მიაღწია და უახლოეს მომავალში სტივენ ჯერარდს ალბათ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ვიხილავთ. ესპანური მთავარგაზეთი იუწყება, რომ ინგლისურ-კასტილიური შეთანხმება ჯერჯერობით სიტყვიერია. „რეალს“ ლივერპულელთა კაპიტნის დანარჩენ მსურველ კლუბებზე უპირატესობა ექნება — როცა „ენფილდ როუდის“ თავკაცობა ჯერარდის ტრანსფერისთვის მოიცლის, სხვებზე უწინ სწორედ მადრიდელთა სუპერგუნდის აზრი უნდა გაითვალისწინოს.

კასტილიელი სამეფო თეთრები ამ ბოლო დროს მოედნის ცენტრის გაძლიერებას ესწრაფვიან და მათი არჩევანი სწორედ მაიკლ ოუენის ნიჭიერ მეგობარზე შეჩერდა, თავად ჯერარდი პრესასთან საუბრისას „ლივერპულს“ ყოველთვის ერთგულებას ეფიცება, ოღონდ სამომავლოდ რომელიმე დიდევროპულ გრანდში გადასვლასაც არ გამორიცხავს. ორიოდე დღის წინ ჯერარდმა თანამემამულე ჟურნალისტებთან კვლავაც ოუენის გვერდით ბურთაობის სურვილი გამოთქვა, რაც სტივის რეალურ ინტერესზე მიანიშნებს.

**ლადო ხომერიკი**

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „მიდლსბრო“ დონეცკის „შახტარის“ კარის დარაჯ სტიპე პლეტიკოშათია დაინტერესებული. „შემიძლია, გითხრათ, რომ სტიპეს ყიდვა ინგლისურ „ვესტ ბრომვიჩს“ სურდა, ახლა კი „მიდლსბროც“ დაინტერესდა. ვიცი, რომ „ბოროს“ მეკარეების მწვრთნელს პლეტიკოშა ძალიან მოსწონს. ჩემი კლიენტის შეძენა მას ადრეც სურდა“ — თქვა ხორვატი მეკარის აგენტმა მილან მარტინოვიჩმა.

**რუსეთს** ევრო 2012-ის მასპინძლობა სურს, თუმც ქვეყნის საფეხბურთო კავშირი უეფაში განაცხადს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიტანს, თუ მოსკოვს 2012 წლის ოლიმპიადის ჩატარების უფლებას არ მისცემენ. „მე ვესაუბრე საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვს და ჩვენ ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. ახლა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას უნდა დაველოდოთ“ — განაცხადა „მოსკოვი 2012“-ის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ჩერნოვმა.

**ესპანური** „სოსიედადის“ რუსი ლეგიონერი ვალერი კარპინი „ბარსელონასთან“ თამაშს ვერ შეძლებს. ფეხბურთელმა ერთ-ერთ ვარჯიშზე მცირე ტრავმა მიიღო. ექიმების თქმით, რუსი ნახევარმცველი შემდეგ ტურის „ლევანტესთან“ მატჩისთვის იქნება მზად, თუმც თუ ტრავმა გაუმიზეზდა, მას სულ ცოტა სამი კვირა მოუწევს უქმობა.

**ინგლისური** „ჩელსი“ „ლიდსის“ ახალგაზრდა მეკარის სკოტ კარსონის შეძენას და ვეტერანი იტალიელის, კარლო კუდიჩინის გაყიდვას აპირებს. ლონდონელები მზად არიან, 19 წლის კარსონში 750 ათასი გირვანქა გაიღონ. ბრიტანული პრესის ვარაუდით, იორკშირული კლუბი ამ წინადადებას დასთანხმდება. კუდიჩინის კი ახალი კლუბის მოძებნაში „ჩელსის“ აგენტები დაეხმარებიან.

**გერმანულ** „დორტმუნდს“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, ბრაზილიელი ევერტონი დაახლოებით ორი თვით დააკლდება. ფეხბურთელს მოსკოვის „სპარტაკთან“ ამხანაგურ მატჩში ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. „ევერტონი საკმაოდ სერიოზულად დაშავდა, თუმც საბოლოო დიაგნოზს გამოკვლევის შემდეგ დავსვამთ“ — თქვა „ბორუსიას“ ექიმმა მარკუს ბრაუნმა.

**ინგლისური** „ბოლტონის“ თავკაცი სემ ალერდაისი დმიტრი ბულიკინს ვერ ელევა და მის სანაცვლოდ მზადაა კლუბის დანიელ ფორვარდ ჰენრიკ პედერსენს შეელიოს. შეგახსენებთ, „ბოლტონს“ რუსი თავდამსხმელის იჯარით თხოვება სურს, მოსკოვის „დინამო“ კი მხოლოდ გაყიდვაზეა ყაბულს. „უონდერერსის“ გარდა, ბულიკინს „კრისტალ პალასიც“ ეპატიჟება.

**იტალიური** „მილანი“ ვეტერან მცველ ალესანდრო კოსტაკურტას მოქმედ კონტრაქტს კიდევ ორი წლით უხანგრძლივებს. მიმდინარე შეთანხმებით კი, კოსტაკურტას ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება ხელშეკრულება. საინტერესოა, რომ ორი წლის შემდეგ კოსტაკურტა უკვე 40 წლის იქნება, მაგრამ ეს არც თავად ფეხბურთელს და არც კლუბს არ აბრკოლებს.

**ბრაზილიური** „სანტოსის“ თავდამსხმელმა რობინიომ კიდევ ერთხელ საჯაროდ განაცხადა, რომ მადრიდის „რეალში“ გადაბარგებას არ აპირებს. ფეხბურთელის თქმით, ამჟამად იგი მხოლოდ „სანტოსზე“ და ლიბერტადორესის თასზე ფიქრობს. ჭორები რობინიოს „რეალში“ გადასვლის შესახებ მას მერე უფრო გამძაფრდა, რაც „სამეფო კლუბი“ მისმა თანამემამულემ, ვანდერლეი ლუშემბურგომ ჩაიბარა.

**ინგლისური** „მანჩესტერის“ ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ მომავალ უქმეებზე „ლივერპულთან“ მატჩისთვის რაიან გიგზი ტრავმას მოიშუშებს. შეგახსენებთ, რომ უელსელი „ტოტენჰემთან“ შეხვედრაში დაშავდა და ექიმები ყველანაირად ცდილობენ მისი გამოჯანმრთელების პროცესი დააჩქარონ. „იუნაიტედის“ თავკაც ალექს ფერგიუსონის თქმით, შესაძლოა, რიო ფერდინანდიც გამოჯანმრთელდეს.

**ესპანური** „ლევანტეს“ შვედი მცველი იოჰან მიალბი კარიერის დასრულებაზე ფიქრობს. ფეხბურთელს მუხლის ტრავმა აწუხებს და ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს გასტანს მკურნალობა. „ექიმებმა ერთი თვე მსუბუქად ვარჯიში მირჩიეს, მაგრამ როგორ შედეგს მივიღებთ, ჯერ უცნობია. ისინი ვერანაირ გარანტიას ვერ იძლევიან. ფეხბურთის თამაში ძალიან კი მინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი შანსია, კარიერის დასრულება მომიხდეს“ — თქვა 34 წლის მიალბიმ.

**იტალიურმა** „ინტერმა“ ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი გაანათხოვრა — 22 წლის ჯოვანი პასკუალე სეზონის ბოლომდე „სიენაში“ ითამაშებს, ხოლო 19 წლის პაოლო დელაფიორე ქვედალიგელ „სპეციაში“. პასკუალეს გადაბირების სურვილი „სიენას“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა, ლუიჯი დე კანიომ პირადად გამოთქვა, კლუბის უფროსობაც „ნეროაძურის“ შეფობას მოელაპარაკა და ტრანსფერიც უმალ გაიჩარხა. დე კანიოს და ახალ გუნდს, პასკუალემ დღეს უნდა მიაკითხოს, რათა ვარჯიში მოასწროს და „სიენას“ კვირას, ბერგამოში, „ატალანტასთან“ საკვირაო მატჩისთვის გაჰყვეს.

**ფინეთის** ნაკრებისა და ბრემენის „ვერდერის“ ნახევარმცველი პეკა ლაგერბლომი „ნიურნბერგში“ გადავიდა. 23 წლის ფეხბურთელი „ფრანკენშტადიონზე“ სეზონის ბოლომდე იჯარით ითამაშებს. „ნიურნბერგი“ ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში ერთ-ერთი აუტსაიდერია და ელიტარული ლიგიდან რომ არ გავარდეს, კლუბის ხელმძღვანელობაც გუნდს ამად აძლიერებს. ლაგერბლომი მათი უკვე მეორე შენაძენია, მანამდე კი მიუნხენის „ბაიერნიდან“ მარცხენა მცველი ტობიას რაუ გადაიყვანეს.

# ზამთრის ევროპული ტრანსფერები



ტობიას რაუ მიუნხენის „ბაიერნში" ბიქსენტ ლიზარაზუს დაბრუნებამ ისე გაანაწყენა, რომ „ნიურნბერგში" გაბრაზებული გაიქცა

## ესპანეთი

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| მარკ იულიანო | იუვენტუსი (იტალია) | მალიორკა |
| ფერნანდო მორიენტესი | რეალი | ლივერპული (ინგლისი) |
| დიეგო სიმეონე | ატლეტიკო | რასინგი (არგენტინა) |
| იესპერ გრონკიაერი | ბირმინგემი (ინგლისი) | ატლეტიკო |
| ლუჩანო ფიგეროა | კრუზ ასული (მექსიკა) | ვილიარეალი |
| ხუან პაბლო სორინი | კრუზეირო (ბრაზილია) | ვილიარეალი |
| მაურისიო პელეგრინო | ვალენსია | ლივერპული (ინგლისი) |
| ნიკო ოლივერა | დეფენსორი (ურუგვაი) | ალბასეტე |
| ხოსე ლუისმი | ალბასეტე | მურსია |
| ლუის ანგულო | ბილბაო | ხიმნასტიკი |
| დანიელ ტარანტინო | ბილბაო | ნუმანსია |
| სერხიო არაგონესესი | ატლეტიკო | ხეტაფე |
| მიგელ ხაკობო | ატლეტიკო | პოლი ეხიდო |
| ხოსე ისმაელი | ბეტისი | ელჩე |
| კარლოს ჩანგი | დეპორტივო | პონტევედრა |
| მარკ ბერტრანი | ესპანიოლი | კორდობა |
| ანტონიო სერვულო | ლევანტე | კორდობა |
| კარლოს მიჩელი | მურსია | მალაგა |
| გონსალო დე ლოს სანტოსი | ვალენსია | მალიორკა |
| იოშიტო ოკუბო | შიმიცუ (იაპონია) | მალიორკა |
| ბერნარდო რომეო | ჰამბურგი (გერმანია) | მალიორკა |
| პატრიკ მიულერი | მალიორკა | ციურიხი (შვეიცარია) |
| პულპო გონსალესი | კორდობა | ნუმანსია |
| რაფაელ ხორდა | პერალტა | ნუმანსია |
| რაულ მარტინი | ეიბარი | რასინგი |
| კრისტიან ალვარესი | რასინგი | კორდობა |
| ლუის მეა ვიტალი | ხეტაფე | ? |
| კარლოს ამაია | ხეტაფე | ? |
| კოსტას კიასოსი | ნუმანსია | ? |
| იბრაჰიმ ბაკაიოკო | ოსასუნა | ? |
| კარლოს ხავიერ ჩავი | ამურიო | რასინგი |
| გონსალო ტრევი | რასინგი | ამურიო |
| დანი გონსალესი | სევილია | მურსია |

## ინგლისი

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| საიმონ როისი | ჩარლტონი | ქუინზ პარკი |
| ფერნანდო მორიენტესი | რეალი (ესპანეთი) | ლივერპული |
| ენდრიუ დევისი | მიდლსბრო | ქუინზ პარკი |
| მასიმო მაკარონე | მიდლსბრო | სიენა (იტალია) |
| იესპერ გრონკიაერი | ბირმინგემი | ატლეტიკო (ესპანეთი) |
| ირჟი იაროშიკი | ცსკა (რუსეთი) | ჩელსი |
| კევინ კემპბელი | ევერტონი | ვესტ ბრომვიჩი |
| ჯეიმს ბიტი | საუთჰემპტონი | ევერტონი |
| მატიას ალმეიდა | ბრეშა (იტალია) | ვესტ ბრომვიჩი |
| დინ ეშტონი | ქრიუ | ნორვიჩი |
| ალან ბლეინი | საუთჰემპტონი | რაშდენი |
| რობერტ ბარჩი | ტოტენჰემი | სტივენეიჯი |
| ემანუელ ებუ | ბევერენი (ბელგია) | არსენალი |
| იან ფოლი | საუთჰემპტონი | ნოტინგემი |
| რაიან ნელსენი | ვაშინგტონი (აშშ) | ბლექბერნი |
| ლეს ფერდინანდი | ბოლტონი | რედინგი |
| რობი ბლეიქი | ბარნლი | ბირმინგემი |
| მაურისიო პელეგრინო | ვალენსია (ესპანეთი) | ლივერპული |
| ჯეიმი რედნაპი | ტოტენჰემი | საუთჰემპტონი |
| აარონ მოკოენა | გენკი (ბელგია) | ბლექბერნი |
| ემილ ჰალფრედსონი | ჰაფნარფიორდური (ისლანდია) | ტოტენჰემი |
| დევიდ ლიმბერსკი | პლზენი (ჩეხეთი) | ტოტენჰემი |
| კალუმ დევენპორტი | ტოტენჰემი | საუთჰემპტონი |
| სელესტინ ბაბაიარო | ჩელსი | ნიუკასლი |
| ჟან-ალენ ბუმსონგი | რეინჯერსი (შოტლანდია) | ნიუკასლი |
| ნჯაზი კუქი | ლაჰტი (ფინეთი) | ბირმინგემი |

## იტალია

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| ადრიან მუტუ | უგუნდოდ | იუვენტუსი |
| ჯოვანი პასკუალე | ინტერი | სიენა |
| პაოლო დელაფიორე | ინტერი | სპეცია |
| ანჟელო დე ალმეიდა | კრისიუმა (ბრაზილია) | ლეჩე |
| ივანო რობერტი | ლაციო | კატანძარო |
| მარკ იულიანო | იუვენტუსი | მალიორკა (ესპანეთი) |
| სიმონე ინძაგი | ლაციო | სამპდორია |
| ფაბიო ბაცანი | სამპდორია | ლაციო |
| მასიმო მაკარონე | მიდლსბრო (ინგლისი) | სიენა |
| ლამბროს ხუტოსი | ინტერი | ატალანტა |
| მატიას ალმეიდა | ბრეშა | ვესტ ბრომვიჩი (ინგლისი) |
| მატია გრაფიედი | სიენა | მოდენა |
| ვლადო შმიტი | ბოლონია | პესკარა |
| გუსტავო ლაზარეტი | ბოტაფოგო (ბრაზილია) | უდინეზე |
| სიმონე ერამო | მესინა | ტარანტო |
| ხულიო სეზარ ლეონი | კატანძარო | რეჯინა |
| ჯოვანი მორაბიტო | რეჯინა | კატანძარო |
| დავიდე დიონიჯი | რეჯინა | ბარი |
| ჯორდანო პაგანოტო | ჩეზენა | ბრეშა |
| ალბერტო არამუ | ნაპოლი | კალიარი |
| ანდრეა ალბერტი | ჩეზენა | ბრეშა |
| ლუკა საუდატი | ატალანტა | ემპოლი |
| კუო არნო | ლე მანი (საფრანგეთი) | ლეჩე |
| რიკარდო ალეგრეტი | კიევო | ვენეცია |
| დავიდე სუჩი | კიევო | ლუკეზე |
| ჯანი კომანდინი | ატალანტა | ტერნანა |
| რაფაელე ამეტრანო | მესინა | აველინო |
| ჯულიო მილაჩიო | ტერნანა | ატალანტა |
| მირკო კონტე | მესინა | არეცო |
| დავიდე სინიგალია | არეცო | ატალანტა |
| კარმინე გაუტიერი | ატალანტა | ნაპოლი |
| დავიდე ინაჩიო პია | ატალანტა | ნაპოლი |
| სიმონე დანიელო | ბოლონია | გარფანანა |
| მარიო ფონტანა | ფიორენტინა | ნაპოლი |
| პანაიოტის გონიასი | მესინა | კროტონე |
| სანტოს როდრიგო | კორინთიანსი (ბრაზილია) | რეჯინა |
| რობერტო ტისონე | კომო | უდინეზე |

## გერმანია

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| პეკა ლაგერბლომი | ვერდერი | ნიურნბერგი |
| ტობიას რაუ | ბაიერნი | ნიურნბერგი |
| უესლი სონკი | აიაქსი (ჰოლანდია) | მიონხენგლადბახი |
| პეტერ სკოვ-იენსენი | მიდტიულანდი (დანია) | ბოხუმი |
| სამუელ კუჯუ | ტიროლი (ავსტრია) | ფრაიბურგი |
| **ოთარ ხიზანეიშვილი** | **დინამო (რუსეთი)** | **ფრაიბურგი** |
| ფატიჰ აკიელი | ფენერბაჰჩე (თურქეთი) | ბოხუმი |
| ბიქსენტ ლიზარაზუ | მარსელი (საფრანგეთი) | ბაიერნი |
| ენრიკო გაედე | მიონხენგლადბახი | ესენი |
| ბერნარდო რომეო | ჰამბურგი | მალიორკა (ესპანეთი) |
| მოჰამედ ზიდანი | მიდტიულანდი (დანია) | ვერდერი |
| კრეიგ მური | რეინჯერსი (შოტლანდია) | მიონხენგლადბახი |
| ანდრეას იბერტსბერგერი | ზალცბურგი (ავსტრია) | ფრაიბურგი |
| ჰანო ბალიტჩი | ლევერკუზენი | მაინცი |
| მიხაელ ტიურკი | ლევერკუზენი | მაინცი |
| პიოტრ ტროხოვსკი | ბაიერნი | ჰამბურგი |
| იურგენ მახო | რაპიდი (ავსტრია) | კაიზერსლაუტერნი |
| ბერნდ ტიისი | ტრაბზონი (თურქეთი) | მიონხენგლადბახი |
| მიმუნ აზაუაგი | მაინცი | შალკე |
| დიეგო ლეონი | ბოხუმი | არმინია |
| მორამ ნავიდკია | არმინია | ბოხუმი |
| ლანდონ დონოვანი | ვაშინგტონი (აშშ) | ლევერკუზენი |
| იორგ ბიომე | შალკე | მიონხენგლადბახი |
| ემანუელ სენტურიონი | შტუტგარტი | ველესი (არგენტინა) |
| შტეფან კლინგი | ჰამბურგი | ზაარბრიუკენი |
| კრისტიან ტიმი | კაიზერსლაუტერნი | ფიურტი |
| რადოსლავ კალუჟნი | ლევერკუზენი | ესენი |
| თომას დრეშერი | კაიზერსლაუტერნი | ბურგჰაუზენი |
| იან შლაუდრაფი | მიონხენგლადბახი | ალემანია |
| ანგელოს ხარისტიასი | ვერდერი | აიაქსი (ჰოლანდია) |
| ვლადიმირ ივიჩი | მიონხენგლადბახი | აეკ (საბერძნეთი) |
| ოსკარ აჰუმადა | ვოლფსბურგი | რივერ პლეიტი (არგენტინა) |
| შტეფან მალცი | კაიზერსლაუტერნი | ფიურტი |
| ტედი ლუკიჩი | ლევერკუზენი | ჰეკენი (შვედეთი) |
| კლინტ მატისი | ჰანოვერი | მიონხენგლადბახი |

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 15:30 | 1 | ლივერპული-მანჩესტერი | 2.5 | 3.2 | 2.6 | 1.4 | 1.27 | 1.43 |
| 18:00 | 2 | სიტი-კრისტალ პალასი | 1.7 | 3.4 | 4.7 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 18:00 | 3 | ასტონ ვილა-ნორვიჩი | 1.65 | 3.5 | 4.9 | 1.12 | 1.23 | 2.04 |
| 18:00 | 4 | ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 1.6 | 3.6 | 5.1 | 1.1 | 1.21 | 2.11 |
| 18:00 | 5 | პორტსმუთი-ბლექბერნი | 2.0 | 3.3 | 3.4 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 6 | ტოტენჰემი-ჩელსი | 4.7 | 3.4 | 1.7 | 1.97 | 1.24 | 1.13 |
| 18:00 | 7 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 2.05 | 3.3 | 3.35 | 1.26 | 1.27 | 1.66 |
| 20:15 | 8 | ბოლტონი-არსენალი | 5.4 | 3.5 | 1.6 | 2.12 | 1.23 | 1.09 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 9 | მიდლსბრო-ევერტონი | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |
| 19:05 | 10 | ფულემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 3.4 | 4.7 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 11 | ქპრ-სტოკი | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 12 | შეფილდი-ბრაიტონი | 1.6 | 3.4 | 5.5 | 1.08 | 1.23 | 2.1 |
| 18:00 | 13 | უოტფორდი-კრიუ | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 14 | ვულვერჰემპტონი-ვესტ ჰემი | 2.55 | 3.1 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 18:00 | 15 | ბარნსლი-რედინგი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 16 | როტერჰემი-უიგანი | 3.9 | 3.4 | 1.8 | 1.81 | 1.23 | 1.17 |
| 18:00 | 17 | ჯილინგემი-პლიმუთი | 2.2 | 3.2 | 2.95 | 1.3 | 1.26 | 1.53 |
| 18:00 | 18 | იფსვიჩი-კოვენტრი | 1.5 | 3.5 | 6.3 | 1.04 | 1.21 | 2.25 |
| 18:00 | 19 | ლიდსი-კარდიფი | 1.8 | 3.4 | 3.9 | 1.17 | 1.23 | 1.81 |
| 18:00 | 20 | ნოტინგემი-მილუოლი | 2.5 | 3.2 | 2.55 | 1.4 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 | 21 | პრესტონი-ლესტერი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 15:00 | 22 | დერბი-სანდერლენდი | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 25 | ბარნსლი-ჰადერსფილდი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 18:00 | 26 | ბორნმუთი-უენსდი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 27 | ბრისტოლი-ბრედფორდი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 | 28 | ჰალი-პიტერბორო | 1.4 | 3.8 | 7.5 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 18:00 | 29 | ლუტონი-სტოკპორტი | 1.4 | 3.8 | 7.5 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 18:00 | 30 | ოლდემი-დონკასტერი | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 31 | პორტ ვეილი-ბრენტფორდი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 32 | სუინდონი-ბლეკპული | 1.75 | 3.2 | 4.5 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 18:00 | 33 | ტორკი-ჰარტლპული | 2.5 | 3.3 | 2.5 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| 18:00 | 34 | უოლსოლი-ჩესტერფილდი | 1.95 | 3.3 | 3.5 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 18:00 | 35 | რექსემი-ტრანმერი | 2.8 | 3.3 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| 18:00 | 36 | დონსი-კოლჩესტერი | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 40 | კემბრიჯი-ჩესტერი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 41 | ჩელტენემი-რაშდენი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 18:00 | 42 | ლეიტონი-გრიმსბი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 18:00 | 43 | მაკლსფილდი-კიდერმინსტერი | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 18:00 | 44 | ნორთჰემპტონი-დარლინგტონი | 1.85 | 3.3 | 3.7 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 18:00 | 45 | ოქსფორდი-იოვილი | 3.0 | 3.3 | 2.1 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| 18:00 | 46 | როჩდეილი-მენსფილდი | 2.1 | 3.3 | 3.0 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 47 | სკანთორპი-ბერი | 1.6 | 3.4 | 5.1 | 1.08 | 1.21 | 2.03 |
| 18:00 | 48 | შრუსბერი-ბოსტონი | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 18:00 | 49 | საუთენდი-ნოტსი | 1.65 | 3.3 | 4.8 | 1.1 | 1.22 | 1.95 |
| 18:00 | 50 | სუონსი-უიკომბი | 1.65 | 3.3 | 4.8 | 1.1 | 1.22 | 1.95 |
| 18:00 | 51 | ლინკოლნი-როვერსი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 53 | დანდი-ინვერნესი | 2.15 | 3.1 | 3.1 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 54 | ჰარტსი-დანდი იუნაიტედი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 55 | კილმარნოკი-მოსერუელი | 2.25 | 3.1 | 3.0 | 1.3 | 1.28 | 1.52 |
| 18:00 | 56 | ლივინგსტონი-ჰიბერნიანი | 2.95 | 3.2 | 2.2 | 1.53 | 1.26 | 1.3 |
| 18:00 | 57 | რეინჯერსი-დანფერმლაინი | 1.15 | 5.6 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 3.81 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 58 | აბერდინი-სელტიკი | 7.3 | 4.2 | 1.35 | 2.66 | 1.13 | 1.02 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 59 | ერდრი-როსი | 2.05 | 3.3 | 2.9 | 1.26 | 1.2 | 1.54 |
| 18:00 | 60 | ჰამილტონი-კლაიდი | 2.65 | 3.2 | 2.3 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 18:00 | 61 | პარტიკი-ქუინი | 2.3 | 3.2 | 2.6 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 18:00 | 62 | რეითი-სტ.მირენი | 3.55 | 3.2 | 1.85 | 1.68 | 1.21 | 1.17 |
| 18:00 | 63 | სტ.ჯონსტონი-ფოლკირკი | 2.65 | 3.2 | 2.3 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 64 | ალოა-ეარი | 2.5 | 3.3 | 2.35 | 1.42 | 1.21 | 1.37 |
| 18:00 | 65 | ბერიკი-დამბარტონი | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 18:00 | 66 | ფორფარი-სტირლინგი | 2.35 | 3.4 | 2.45 | 1.38 | 1.19 | 1.42 |
| 18:00 | 67 | მორტონი-არბროთი | 1.5 | 3.8 | 4.9 | 1.07 | 1.14 | 2.14 |
| 18:00 | 68 | სტრანრარი-ბრეჩინი | 2.15 | 3.3 | 2.75 | 1.3 | 1.2 | 1.5 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 69 | ისტ სტირლინგი-ელგინი | 2.8 | 3.4 | 2.1 | 1.53 | 1.2 | 1.29 |
| 18:00 | 70 | გრეტნა-კოუდენბითი | 1.2 | 5.3 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.33 |
| 18:00 | 71 | მონტროუზი-ალბიონი | 1.45 | 3.9 | 5.3 | 1.05 | 1.13 | 2.24 |
| 18:00 | 72 | პიტერჰედი-ისტ ფაიფი | 1.2 | 5.3 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.33 |
| 18:00 | 73 | სტენჰაუსმუირი-ქუინს პარკი | 2.2 | 3.3 | 2.7 | 1.32 | 1.21 | 1.48 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 20:00 | 74 | ბრეშა-ფიორენტინა | 2.3 | 2.9 | 3.2 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 22:30 | 75 | რეჯინა-ინტერი | 4.6 | 3.0 | 1.8 | 1.81 | 1.29 | 1.12 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 76 | სამპდორია-ბოლონია | 1.75 | 3.2 | 4.7 | 1.13 | 1.27 | 1.9 |
| 17:00 | 77 | ატალანტა-სიენა | 2.25 | 2.9 | 3.25 | 1.26 | 1.32 | 1.53 |
| 17:00 | 78 | კიევო-რომა | 3.5 | 2.8 | 2.2 | 1.55 | 1.35 | 1.23 |
| 17:00 | 79 | ლაციო-პალერმო | 2.0 | 2.9 | 3.95 | 1.18 | 1.32 | 1.67 |
| 17:00 | 80 | ლივორნო-მესინა | 2.1 | 2.9 | 3.6 | 1.21 | 1.32 | 1.6 |
| 17:00 | 81 | მილანი-უდინეზე | 1.45 | 3.7 | 7.0 | 1.04 | 1.2 | 2.42 |
| 17:00 | 82 | პარმა-ლეჩე | 1.95 | 3.0 | 3.8 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| 22:30 | 83 | კალიარი-იუვენტუსი | 4.5 | 3.2 | 1.75 | 1.87 | 1.25 | 1.13 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 86 | პესკარა-ტრიესტინა | 2.2 | 2.7 | 3.4 | 1.21 | 1.33 | 1.5 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 87 | სალერნიტანა-კროტონე | 1.8 | 3.0 | 4.4 | 1.12 | 1.27 | 1.78 |
| 17:00 | 88 | ტორინო-ტრევისო | 1.65 | 3.1 | 5.4 | 1.07 | 1.26 | 1.96 |
| 17:00 | 89 | ვიჩენცა-არეცო | 1.95 | 2.9 | 3.8 | 1.16 | 1.28 | 1.64 |
| 17:00 | 90 | კატანძარო-ტერნანა | 2.2 | 2.7 | 3.4 | 1.21 | 1.33 | 1.5 |
| 17:00 | 91 | ჩესენა-კატანია | 2.25 | 2.7 | 3.35 | 1.22 | 1.34 | 1.49 |
| 17:00 | 92 | ემპოლი-ბარი | 1.75 | 3.0 | 4.8 | 1.1 | 1.28 | 1.84 |
| 17:00 | 93 | მოდენა-ასკოლი | 2.0 | 2.8 | 3.9 | 1.16 | 1.32 | 1.62 |
| 17:00 | 94 | პერუჯა-ალბინოლეფე | 1.6 | 3.0 | 6.5 | 1.04 | 1.28 | 2.05 |
| 17:00 | 95 | ვენეცია-ჯენოა | 3.75 | 2.9 | 2.0 | 1.63 | 1.3 | 1.18 |
| | | **17 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 96 | პიაჩენცა-ვერონა | 2.2 | 2.9 | 3.2 | 1.25 | 1.3 | 1.52 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 116 | ხეტაფე-ატლეტიკო | 2.7 | 3.0 | 2.55 | 1.42 | 1.31 | 1.37 |
| 23:45 | 117 | მალაგა-სევილია | 2.8 | 2.9 | 2.55 | 1.42 | 1.33 | 1.35 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 118 | ოსასუნა-ვალენსია | 2.95 | 2.9 | 2.45 | 1.46 | 1.33 | 1.32 |
| 19:00 | 119 | დეპორტივო-ნუმანსია | 1.45 | 4.0 | 6.5 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 19:00 | 120 | ლევანტე-ვილიარეალი | 2.5 | 2.9 | 2.9 | 1.34 | 1.34 | 1.45 |
| 19:00 | 121 | ალბასეტე-რასინგი | 2.15 | 3.1 | 3.3 | 1.26 | 1.3 | 1.59 |
| 19:00 | 122 | ბილბაო-ესპანიოლი | 2.15 | 3.0 | 3.4 | 1.25 | 1.31 | 1.59 |
| 19:00 | 123 | ბეტისი-მალიორკა | 1.6 | 3.5 | 5.4 | 1.09 | 1.23 | 2.12 |
| 21:00 | 124 | ბარსელონა-სოსიედადი | 1.3 | 4.7 | 8.6 | 1.01 | 1.12 | 3.03 |
| 23:00 | 125 | რეალი-სარაგოსა | 1.3 | 4.7 | 8.6 | 1.01 | 1.12 | 3.03 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 20:30 | 126 | ალმერია-უელვა | 2.4 | 2.6 | 3.2 | 1.24 | 1.37 | 1.43 |
| 20:30 | 127 | ეიბარი-სეუტა | 2.6 | 2.7 | 2.7 | 1.32 | 1.32 | 1.35 |
| 20:30 | 128 | ლეიდა-მურსია | 2.0 | 2.7 | 3.8 | 1.14 | 1.31 | 1.57 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 14:00 | 129 | ალავესი-ელჩე | 2.05 | 2.7 | 3.8 | 1.16 | 1.33 | 1.57 |
| 19:00 | 130 | სერესი-ფეროლი | 2.25 | 2.7 | 3.25 | 1.22 | 1.32 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 131 | პონტევედრა-მალაგა B | 2.5 | 2.7 | 2.85 | 1.29 | 1.33 | 1.38 |
| 20:00 | 132 | ტენერიფე-ეხიდო | 1.95 | 2.8 | 3.95 | 1.14 | 1.3 | 1.63 |
| 19:00 | 133 | ტერასა-კადისი | 3.25 | 2.8 | 2.2 | 1.5 | 1.31 | 1.23 |
| 19:00 | 134 | ვალიადოლიდი-კორდობა | 1.35 | 3.9 | 7.95 | 1.0 | 1.15 | 2.61 |
| 19:00 | 135 | ტარაგონა-სპორტინგი | 2.2 | 2.7 | 3.4 | 1.21 | 1.33 | 1.5 |
| 19:00 | 136 | სიუდადი-სალამანკა | 2.4 | 2.7 | 3.0 | 1.27 | 1.33 | 1.42 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

**15 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:15 | 147 | ოსერი-სოშო | 1.8 | 3.1 | 4.5 | 1.13 | 1.28 | 1.83 |
| 22:00 | 148 | ბორდო-ლილი | 2.2 | 2.8 | 3.4 | 1.23 | 1.33 | 1.53 |
| 22:00 | 149 | ლანსი-ისტრი | 1.6 | 3.1 | 6.5 | 1.05 | 1.28 | 2.09 |
| 22:00 | 150 | ლიონი-მეცი | 1.35 | 4.0 | 9.0 | 1.0 | 1.17 | 2.76 |
| 22:00 | 151 | მონაკო-კანი | 1.4 | 3.8 | 8.0 | 1.02 | 1.19 | 2.57 |
| 22:00 | 152 | ნანტი-რენი | 2.1 | 2.8 | 3.9 | 1.2 | 1.36 | 1.62 |
| 22:00 | 153 | პსჟ-ტულუზი | 1.75 | 3.1 | 5.0 | 1.11 | 1.29 | 1.91 |
| 22:00 | 154 | სტრასბური-სტ.ეტიენი | 2.15 | 2.8 | 3.7 | 1.21 | 1.35 | 1.59 |
| 22:00 | 155 | აიაჩო-ბასტია | 2.15 | 2.8 | 3.7 | 1.21 | 1.35 | 1.59 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 156 | მარსელი-ნიცა | 1.7 | 3.0 | 5.7 | 1.08 | 1.3 | 1.96 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

**14 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 168 | ანჟე-დიჟონი | 2.35 | 2.7 | 3.0 | 1.25 | 1.31 | 1.42 |
| 22:00 | 169 | კლერმონი-ლე ავრი | 1.95 | 2.8 | 4.0 | 1.14 | 1.31 | 1.64 |
| 22:00 | 170 | კრეტეი-გენიონი | 2.55 | 2.7 | 2.8 | 1.31 | 1.33 | 1.37 |
| 22:00 | 171 | გენგამი-სედანი | 2.2 | 2.7 | 3.4 | 1.21 | 1.33 | 1.5 |
| 22:00 | 172 | ლორიანი-მონპელიე | 2.25 | 2.7 | 3.3 | 1.22 | 1.33 | 1.48 |
| 22:00 | 174 | ნიორი-ბრესტი | 2.4 | 2.7 | 3.0 | 1.27 | 1.33 | 1.42 |
| 22:00 | 175 | რეიმსი-ლე მანი | 2.05 | 2.7 | 3.6 | 1.16 | 1.3 | 1.54 |
| 22:45 | 176 | ტრუა-ლავალი | 1.7 | 2.9 | 5.0 | 1.07 | 1.26 | 1.83 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 17:15 | 173 | ნანსი-შატორუ | 1.75 | 2.9 | 4.8 | 1.09 | 1.28 | 1.8 |
| | | **17 იანვარი** | | | | | | |
| 22:15 | 167 | ამიენი-გრენობლი | 2.0 | 2.8 | 3.6 | 1.16 | 1.28 | 1.57 |

**ბელგია. I დივიზიონი**

**15 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 177 | ლუვენ-შარლერუა | 2.25 | 3.1 | 2.85 | 1.3 | 1.25 | 1.48 |
| 22:00 | 178 | ბრიუგე-ბევერენი | 1.2 | 5.2 | 11.0 | 1.0 | 1.08 | 3.53 |
| 22:00 | 179 | ბეერსხოტი-გენტი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 22:00 | 180 | მონსი-სტ.ტრუიდენი | 2.4 | 3.2 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 22:00 | 181 | ანდერლეხტი-მუსკრონი | 1.25 | 4.8 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.13 |
| 22:00 | 182 | სტანდარდი-ლიერსი | 1.55 | 3.5 | 5.2 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 22:00 | 183 | ლოკერენი-სერკლი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 22:00 | 184 | გენკი-ბრიუსელი | 1.4 | 3.9 | 6.8 | 1.03 | 1.16 | 2.47 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 185 | ვესტერლო-ოსტენდე | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |

**ბელგია. II დივიზიონი**

**15 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 186 | დესელი-ანტვერპენი | 3.1 | 3.2 | 2.0 | 1.57 | 1.21 | 1.23 |
| 22:00 | 187 | დაინცე-ვარეგემი | 2.95 | 3.2 | 2.1 | 1.53 | 1.22 | 1.26 |
| 22:00 | 188 | ჰეუსდენი-ეუპენი | 1.8 | 3.3 | 3.9 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 22:00 | 189 | ვირტონი-ვაასლანდი | 2.0 | 3.1 | 3.3 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 190 | აალსტი-რუსელარე | 2.8 | 3.2 | 2.2 | 1.49 | 1.23 | 1.3 |
| 17:00 | 191 | ვიგორი-სტ.ჟილი | 2.1 | 3.2 | 2.9 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 17:00 | 192 | კორტრაიკი-პატრო | 2.2 | 3.1 | 2.8 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 17:00 | 193 | რონსე-გეელი | 2.0 | 3.2 | 3.2 | 1.23 | 1.23 | 1.6 |
| 17:00 | 194 | ტუბეკე-ვიზეტი | 1.65 | 3.3 | 4.6 | 1.1 | 1.21 | 1.92 |

**პორტუგალია. სუპერლიგა**

**15 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 195 | გიმარაეში-ბეირა მარი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 23:45 | 201 | აკადემიკა-პორტუ | 5.0 | 3.5 | 1.55 | 2.05 | 1.18 | 1.07 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 196 | ბრაგა-მორეირენსე | 1.5 | 3.6 | 5.7 | 1.05 | 1.18 | 2.2 |
| 19:00 | 197 | ჟილ ვისენტე-პენაფიელი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 19:00 | 198 | მარიტიმუ-ესტორილი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 19:00 | 199 | რიუ ავე-ლეირია | 2.25 | 3.0 | 2.9 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| 21:30 | 202 | ნასიონალი-სპორტინგი | 3.6 | 3.2 | 1.85 | 1.69 | 1.22 | 1.17 |
| 23:45 | 203 | ბენფიკა-ბოავიშტა | 1.65 | 3.4 | 4.3 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| | | **17 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 200 | სეტუბალი-ბელენენსეში | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |

**პორტუგალია. I დივიზიონი**

**16 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 204 | ამადორა-ავეში | 1.6 | 3.4 | 4.65 | 1.08 | 1.19 | 1.96 |
| 18:00 | 205 | შავეში-ალვერკა | 2.15 | 3.1 | 2.9 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 18:30 | 206 | ფელგეირაში-ვარსიმი | 1.95 | 3.1 | 3.4 | 1.19 | 1.23 | 1.62 |
| 18:00 | 207 | ლეიშოეში-გონდომარი | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 19:00 | 208 | მაია-ოლიანენსე | 1.8 | 3.2 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.72 |
| 18:00 | 209 | მარკუ-ესპინიუ | 1.6 | 3.4 | 4.65 | 1.08 | 1.19 | 1.96 |
| 18:30 | 210 | ნავალი-სანტა კლარა | 1.55 | 3.3 | 5.4 | 1.05 | 1.2 | 2.04 |
| 18:30 | 211 | პორტიმონენსე-ოვარენსე | 2.25 | 3.2 | 2.7 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| 18:00 | 212 | ფეირენსე-ფერეირა | 2.75 | 3.1 | 2.25 | 1.45 | 1.23 | 1.3 |

**ჰოკეი. ფინეთი**

**14 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 318 | იოკერიტი-იუვესკიულე | 1.25 | 5.0 | 6.0 | 1.0 | 1.03 | 2.72 |

**ჰოკეი. ჩეხეთი**

**14 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 328 | სპარტა-დუკლა | 1.15 | 6.0 | 7.5 | 1.0 | 1.0 | 3.33 |
| 21:00 | 329 | კარლოვი ვარი-ვსეტინი | 1.9 | 4.4 | 2.4 | 1.32 | 1.06 | 1.55 |

**ჰოკეი. გერმანია**

**14 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 334 | დიუსელდორფი-აუგსბურგი | 1.75 | 4.4 | 2.7 | 1.25 | 1.06 | 1.67 |
| 21:30 | 335 | აისბარენი-ნიურნბერგი | 2.05 | 4.3 | 2.25 | 1.38 | 1.07 | 1.47 |
| 21:30 | 336 | იზერლონი-ჰანოვერი | 1.65 | 4.6 | 2.9 | 1.21 | 1.05 | 1.77 |
| 21:30 | 337 | კიოლნი-ინგოლშტადი | 1.8 | 4.5 | 2.55 | 1.28 | 1.05 | 1.62 |
| 21:30 | 338 | კრეფელდი-ჰამბურგი | 2.1 | 4.2 | 2.2 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 21:30 | 339 | მანჰაიმი-ვოლფსბურგი | 1.45 | 4.9 | 3.55 | 1.11 | 1.02 | 2.05 |

**ჰოკეი. შვეიცარია**

**14 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 344 | ფრიბურგი-ცუგი | 2.1 | 4.2 | 2.2 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 21:45 | 345 | სერვეტი-დავოსი | 2.05 | 4.1 | 2.25 | 1.36 | 1.07 | 1.45 |
| 21:45 | 346 | კლოტენი-ციურიხი | 2.25 | 4.2 | 2.05 | 1.46 | 1.07 | 1.37 |
| 21:45 | 347 | ლოზანა-ბერნი | 2.3 | 4.2 | 2.0 | 1.48 | 1.06 | 1.35 |
| 21:45 | 348 | ლანგნაუ-რაპერსვილი | 2.05 | 4.4 | 2.2 | 1.39 | 1.06 | 1.46 |
| 22:00 | 349 | ამბრი-ლუგანო | 2.3 | 4.3 | 2.0 | 1.49 | 1.06 | 1.36 |

**ჰოკეი. რუსეთი**

**14 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13:00 | 364 | მაგნიტოგორსკი-აკ | 1.25 | 4.6 | 4.8 | 1.0 | 1.0 | 2.34 |
| 13:00 | 365 | ლადა-მოლოტი | 1.1 | 7.0 | 9.0 | 1.0 | 1.0 | 3.93 |
| 13:00 | 366 | დინამო-სევერსტალი | 1.3 | 5.5 | 5.0 | 1.05 | 1.03 | 2.61 |
| 13:00 | 367 | ლოკომოტივი-აკ ბარსი | 2.25 | 4.2 | 2.05 | 1.46 | 1.07 | 1.37 |
| 13:00 | 368 | სპარტაკი-ნეფტეხიმიკი | 2.3 | 4.3 | 2.0 | 1.49 | 1.06 | 1.36 |
| 13:00 | 369 | ს.იულაევი-ცსკა | 2.3 | 4.3 | 2.0 | 1.49 | 1.06 | 1.36 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ლივერპული-მანჩესტერი | 3.15 | 2.0 | 3.0 | 1.22 | 1.53 | 1.2 |
| 10002 | სიტი-კრისტალ პალასი | 2.1 | 2.0 | 5.5 | 1.02 | 1.51 | 1.46 |
| 10003 | ასტონ ვილა-ნორვიჩი | 1.95 | 2.1 | 6.0 | 1.01 | 1.47 | 1.55 |
| 10004 | ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 1.8 | 2.2 | 6.6 | 1.0 | 1.41 | 1.64 |
| 10005 | პორტსმუთი-ბლექბერნი | 2.4 | 2.0 | 4.1 | 1.09 | 1.51 | 1.34 |
| 10006 | ტოტენჰემი-ჩელსი | 4.7 | 2.1 | 2.1 | 1.45 | 1.45 | 1.04 |
| 10007 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10008 | ბოლტონი-არსენალი | 6.5 | 2.1 | 1.8 | 1.58 | 1.4 | 1.0 |
| 10009 | მიდლსბრო-ევერტონი | 2.45 | 2.0 | 4.0 | 1.1 | 1.51 | 1.33 |
